№ 2936
შაბათი,
ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2936
შაბათი,
29 ოქტომბერი

ფასი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს"
გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
ქალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიბა შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
მ. და ი. მანდლ
ატოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ლაფერს.
(50—6.—14)

ეფროსინე ქაიხოსროს ასული კლდიაშვილისა შვილებითურთ დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ დაკარგვას ძვირფას და საყვარელ შვილის ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის

ალექსანდრე გრიგოლის ძის კლდიაშვილისა,

რომელიც ტრაგიკულად მოკლულ იქმნა ოდესაში 20 ოქტომბერს, და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (3—2)

მარიამ გრიგოლის ასული ძნელაძისა შვილებითურთ დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფას და საყვარელ ძმის ოდესის უნივერსიტეტის ლაბორანტის

ალექსანდრე გრიგოლის ძის კლდიაშვილისას,

რომელიც მოკლულ იქმნა ოდესაში 20 ოქტომბერს, და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 30 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, ანჩისხატის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. (2—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
იღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
ნ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და ტვინის ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ნერვების ავადმყოფობანი.
ე. ავეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
მკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა ბავშვების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—15)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—81)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხე, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე დილიდან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—14)

მედიცინის დოქტორმა
ვ. ი. ბურბენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის სამშობიარო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა მიღება და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, სამედიცინო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—5)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—2)

ექიმი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—16)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. და საღამოობით 5—6 ს.-მდე კოჩუბეევის ქ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—16)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—21)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (1—420—16)

✦ კბილებს ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ მოკლეებს იაფად. (30—5).

ტფილისის, 28 ოქტომბერი.

რამდენისამე დღის წინად ტფილისში თავზარ დამცემი ხმები გავრცელდა გურიის და გურულების შეხახებ. დაბეჯითებით და „სარწმუნო წყაროებიდან" მიღებულის ცნობებით არწმუნებდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს არა მკითხე შიკრიკები და დაავადებულ ფანტაზიის პატრონნი, რომ გურიამ უარჰყო მთავრობა, ამოჰხოცა ადგილობრივი რაზმები, დაიპყრო იარაღები, ციხე-სიმაგრეები, შეუერთდა აჭარას, შეიარაღდა დიდიდან პატარამდე, შეკრა გზები, და ომი გამოუცხადა რუსეთსაო. საიდან იყო მიღებული [illegible] ცნობები — კაცმა არ იცოდა, რადგან საყოველთაო გაფიცვისა გამო მისვლა-მოსვლა შეჩერებული იყო და არც ტელეგრაფი მუშაობდა.

ჩვენს გუშინდელს წერილში ეჭვი გამოვაცხადეთ ამ უთავბოლო ხმების შესახებ, ასეთისავე სკეპტიციზმით შეჰხედეს „გურიის აჯანყებას" გაზეთებმა „ივერიამ" და „ვოზროჟდენიემ". დღეს შეგვიძლიან ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, რომ როგორც ქუთაისიდან მიღებულ საკუთარის კორესპონდენტების დეპეშებიდან სჩანს, *) ჩვენს სკეპტიციზმს გაცილებით მეტი საფუძველი ჰქონია, ვიდრე არა მკითხე შიკრიკების გალაღებულს ფანტაზიას. არაფერი აჯანყების მსგავსი ამბავი გურიაში არ მომხდარა, პირიქით, მოხდა მხოლოდ ის, რაც წინადაც ხდებოდა ხოლმე გურიაში თუ კავკასიის ან რუსეთის სხვა ნაწილებში და რის ასაკვეთადაც ერთი სულ უბრალო და მარტივი საშუალებაა საჭირო, სახელდობრ რეალურად გატარება ცხოვრებაში 17 ოქტომბრის მანიფესტით აღიარებულ თავისუფლების პრინციპისა. ყაზახები, ბოქაულები და მაზრის უფროსები—ამ ჟამად უკვე ანაქრონიული ნაშთები არიან დანგრეულ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისა. კავკასიის უმაღლეს მთავრობის მოვალეობაა, ხალხს დაუყოვნებლივ მოაშოროს წინანდელ მთავრობის აგენტები, ყველგან ᲓᲐ ყველაფერში უარჰყოს წინანდელი „დამამშვიდებელი ზომები". ეს მოვალეობა მთავრობას ჯერაც არ შეუსრულებია, თუმცა პრინციპიალურად ხალხმა უკვე აიძულა მთავრობა თავისი ძველი პოლიტიკა უარეყო და დაეგმო.

რა თქმა უნდა, კავკასიის მმართველობა, რომელმაც 21 და 22 ოქტომბერს გოროდცოვების და მის მსგავსების დახმარებით შემდგარ შავს რაზმს, პატრიოტულ პარტიად წოდებულს, მანიფესტაციის გასამართავად ყაზახები და სამხედრო რაზმები მიაშველა, რა თქმა უნდა, ამ მთავრობას არ გაუკვირდება გურიის ინციდენტი აჯანყების სახელით მონათლოს, თავისი საკუთარი ადმინისტრატიული უმოქმედობა გურულებს მოახვიოს თავზე და ვითომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ცეცხლითა და მახვილით დაატრიალოს მთელს გურიაში რუსის ჯარი. და განა გურია განმარტოვებულია, განა ცეცხლი და მახვილი არა ტრიალებს მთელს ქართლში? განა ძველი რეჟიმის ძალმომრეობის წარმომადგენელი ყაზახები არ არიან კავკასიის ადმინისტრაციის განკარგულებით შესეული მშვიდ მშრომელ ხალხის სადგომებში?

---

*) დეპეშები იხილე ქვემოდ.

რას, ჰნიშნავს ყოველივე ეს რას უნდა მიეწეროს ასეთი მოქმედება კავკასიის ადმინისტრაციისა, როგორი კავშირი არსებობს თავისუფლების მანიფესტისა და კავკასიის ადმინისტრაციის მოქმედების შორის? ნუ თუ კავკასიის მმართველებმა კონტრ-რევოლიუციის მოხდენა განიზრახეს და იმიტომ გვჩრიან თვალებში შინ და გარედ ყაზახებს, მათრსხებს და ხიშტებს?..

ტფილისი, 28 ოქტომბერი.

ვიდრე სარევოლიუციო მოძრაობის ბედიღბალი საბოლოოდ ფიზიკურ ბრძოლის ასპარეზზე სწყდებოდა, რევოლიუციის პირველ გამარჯვების უმალვე მმართველობის სათავეში იმ საზოგადოებრივ ძალთა წარმომადგენელნი სდგებოდნენ, რომელნიც მიუძღოდნენ წინ რევოლიუციას. სარევოლიუციო აზრებით თავით ფეხამდე გამსჭვალული ახალი მთავრობა (ჩვეულებრივ დროებითი) ელვის სისწრაფით და შეუპოვარის ენერგიით ჰსპობდა ძველის რეჟიმის ნაშთებს ყველგან, სადაც-კი ხელი მიუწვდებოდა, და ამ გვარად მყარდებოდა სახელმწიფოში ახალი რეჟიმი.

ეხლანდელ რუსეთის რევოლიუციის განსაკუთრებითი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ, მიუხედავად განმათავისუფლებელ მოძრაობის გამარჯვებისა, სარევოლიუციო აზრების გატარება ცხოვრებაში და ძველის წესების გაუქმება ისევ იმ პირების ხელშია, რომელნიც რამდენისამე დღის წინ წინანდელ მთავრობის დედააზრების დამცველნი და გამავითარებელნი იყვნენ. ეჭვს გარეშეა, ამ ჟამად გრაფი ვიტტე სარევოლიუციო მოძრაობის დროებით მთავრობის როლს ასრულებს, ის გრაფი ვიტტე, რომელმაც მთელი თავისი პოლიტიკური კარიერა თვითმპყრობელობის ყურმოჭრილ და ერთგულს სამსახურზე ააშენა, რომელმაც შეჰქმნა რუსეთში სისტემა კაპიტალიზმის მფარველობისა მშრომელთ ხალხის ხარჯზე, [illegible] წერტილამდე განავითარა მილიტარიზმის პრინციპი და რომელიც იდეიურად თვითმპყრობელობასთან შეუთანხმებელ საერობო თვითმმართველობის ალაგმვას, შევიწროებას და გაუქმებასაც-კი აპირობდა. ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის და თვითნებობის სკოლაში აღზრდილი, ამ გამხრწნელ და გამრყვნელ ცხოვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო ბურჯად ნამყოფი გრაფი ვიტტე უეჭველია თანამედროვე რევოლიუციის აზრებით გამსჭვალული არ შეიძლება იყოს და არც არის. ბიუროკრატიის დახლართულ კიბეზე სასიარულო ყავარჯენი—უფროსების აზრების და სურვილების ამოკითხვა სახის მეტყველებისაგან—ეს აუცილებელი ყავარჯენი თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მსახურებისა აუცილებლად ისეთს ბეჭედს, ისეთს დამღას ასვამს ადამიანის ბუნებას, რომელსაც ოკეანეთა განრისხებული ტალღაც-კი ვერ გადაჰრეცხს.

გრაფი ვიტტე თავის მოხსენებაში რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ ამბობს, რუსეთის საზოგადოების იდეიურმა მისწრაფებამ წინ გაუსწრო ეხლანდელ რუსეთის პოლიტიკურ ფორმებსო. ცხადია, არსებითად გრაფ ვიტტეს პოლიტიკა დღესაც იმავ ნიადაგზეა დამყარებული, რომელზედაც წინად იყო გამაგრებული; შეიცვალა მხოლოდ უფროსი, „ნაჩალნიკი", რომლის სახის ნაოჭებზედაც მკითხავობდა, გულთამხილველობდა გრაფი ვიტტე. ეხლანდელ დროებით მთავრობის, ე. ი. გრაფ ვიტტეს თვალში რევოლიუციის დედააზრებს, თავისუფლებას, უფლებრივობას და თანასწორობას თავისი საკუთარი ფასი, საკუთარი ღირსება არა აქვს, ეს დიადი სარევოლიუციო პრინციპები გრაფ ვიტტეს თვალში მხოლოდ იმიტომ უნდა განხორციელდნენ, რომ უამისოდ „სიწყნარის" და „მშვიდობის" ჩამოგდება არ იქნება. მშვიდობიანობა, ე. ი. სიჩუმე და გულჩათხრობილი ყურმოჭრილობა კვლავინდებურად უაღრესს იდეალად არის დასახული. ცხადია, ასეთს შეხედულებას არაფერი არა აქვს საერთო სარევოლიუციო აზრებთან.

ჩვენ გვწამს, გვჯერა, რომ გრაფ ვიტტეს გულწრფელად უნდა მანიფესტში გამოცხადებულ რეფორმების განხორციელება, მაგრამ ცხოვრებაში სარევოლიუციო აზრების გასატარებლად, სარევოლიუციო რეფორმების განსახორციელებლად გულწრფელობა არა კმარა. აქ ყოველის უწინარეს საჭიროა ბრძოლა, სასიკვდილ-სასაცოცხლო ბრძოლა ძველი რეჟიმის დიდსა და პატარა დამცველებთან. ვის თვალშიაც მხოლოდ მშვიდობიანობის დასამყარებლად არის საჭირო რეფორმები, ის ვერც ერთს სარევოლიუციო რეფორმას ვერ გაატარებს, ის თვითონვე უჩვენებს გზას, თითონვე აძლევს ძველის წესების დამცველებს ხელში ძლიერს იარაღს რევოლიუციის დასამარცხებლად. სამხედრო ძალა და საადმინისტრაციო უფლება ისევ თვითმპყრობელობის ერთგულ მოსამსახურეთა ხელშია; რუსეთის თვალ-გადაუწვდენელს სივრცეზე 17 ოქტომბრის შემდეგ სწორედ ისევე, როგორც წინად ბრძანებლობა, უფლობა ისევ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის ხელშია მოგროვილი. არავის, არც ერთს სარევოლიუციო საზოგადოებრივ ძალას და არც ყველას ერთად არ ძალუძთ ისეთი სასტიკი არეულობა მოახდინონ, ისეთი სასტიკი აურ-ზაური და ალიაქოთი ასტეხონ, როგორც გუბერნიის იმ უფროსებს, რომელთაც თვით-მპყრობელობის დროიდან სამხედრო ძალა და ბრძანებლობა შერჩათ ხელში. თუ გრაფ ვიტტეს ეხლანდელი პოლიტიკური პროგრამმა უწესოების შიშით არის ნაკარნახევი (როგორც ზევით ვნახეთ ეს ჩვენ), და არა სარევოლიუციო აზრებისადმი თავგანწირულის ერთგულობით,—ცხადია, მეტად ფართო, მეტად სახიფათო ასპარეზი მზადდება კონტრ-რევოლიუციისათვის.

თავის მოტყუება არასოდეს არ ვარგა, განსაკუთრებით არ ვარგა იგი ისეთს სარევოლიუციო მღელვარების დროს, როგორიც ეხლა ეწვია რუსეთს. ჯერ-ჯერობით გრაფ ვიტტეს განკარგულებანი ოდნავაც არ შეჰხებიან კონტრ-რევოლიუციის ბნელ ძალებს. ჩვენ არაფერი საბუთი არა გვაქვს, ვიმედოვნოთ, რომ გრაფი ვიტტე ამ მხრივ საკმაო ენერგიას და თავგანწირულებას გამოიჩენდეს როდისმე. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლება ხორც-შეუსხმელ სიტყვად დარჩა, არ განხორციელდა არც თავისუფალი სიტყვა, არც თავისუფალი კრება, არც თავისუფალი კავშირები, არც ხალხის ბატონობა და არც ის ეკონომიური ცვლილება, რომელმაც მიწის მუშა სამუდამოდ უნდა დაიხსნას ფეოდალურ პარაზიტებისაგან. გადაათვალიერეთ, გაიხსენეთ პროვინციის ამბები, მოიგონეთ ეგზეკუციები, სამხედრო წესები, პოლიტიკური დანაშაულობანი და თქვენ, ჩვენო მკითხველო, დარწმუნდებით, რომ სარევოლიუციო აზრები ნამდვილად ჯერ არც-კი მიჰკარებიან ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისაგან მოშხამულს ცხოვრებას.

მაშ რა გზას დავადგეთ, რითი ვუშველოთ და როგორ მოვუპოვოთ ნამდვილი, რეალური გამარჯვება სარევოლიუციო იდეალებს?—იმავ გზით, იმავ საშუალებით, რომლითაც ჩვიდმეტს ოქტომბერს ვაიძულეთ თვითმპყრობელობა თავისი თავი ძლეულ ეცნო და რევოლიუციის პრინციპებ ქვეშ მოეწერა ხელი. საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა—აი ის მძლეთა მძლე იარაღი, რომელმაც გასტეხა თვითმპყრობელობა და რომლის საშუალებითაც ფეხ-და-ფეხ უნდა ვსდიოთ ძველს რეჟიმს, ვიდრე მთლად არ ამოიშლება ცხოვრებიდან იმისი ნაშთები. ვინც თავის იმედებს გრაფ ვიტტეს ძლიერებასა და პოლიტიკურს შორს-მჭვრეტელობაზე ამყარებს, იმას არაფერი არა აქვს საერთო ეხლანდელ რევოლიუციონურ მოძრაობასთან, ისინი მხოლოდ სარევოლიუციო ბრძოლაში ტყვედ წარმოყვანილნი არიან, ისინი ეხლანდელს მოძრაობას ვერაფერს არგებენ, თუმცა-კი ვერც არაფერს დააკლებენ.

კავშირის თავისუფლება, რომელიც 17 ოქტომბერს მოიპოვა მშრომელმა ხალხმა, როგორც ნაყოფი პირველის საყოველთაო პოლიტიკურის გაფიცვისა, ეს თავისუფლება რეალურად უნდა ავავსოთ შინაარსით, ლეგალურად უნდა შევკრათ მთელი რუსეთი თავისუფალ კავშირების ჯაჭვით და დავამზადოთ მეორე საყოველთაო გაფიცვა, რომელიც თვით ცხოვრებაში შეიტანს რევოლიუციის პრინციპებს, თავისუფლებას და თანასწორობას.

* * *

გენერალ ტრეპოვის გადაყენება

მთელი შეგნებული რუსეთი სიხარულით მიეგებებოდა გუშინდელ დეპეშას „ძლევამოსილ" დიქტატორის ტრეპოვის სამსახურიდან გადაყენების შესახებ.

ვინ არის იგი, რა იყო და ვინ იყო ტრეპოვი? როცა პეტერბურგის პროლეტარიატის აბობოქრებულმა ტალღამ ძლიერი იერიში მიიტანა თვითმპყრობელობაზე, როცა მთელს რუსეთში გაისმა მაღალი ხმა განმათავისუფლებელ მოძრაობის ამხედრებულ

რაზმებისა, გზა დაბნეულმა და გაბოროტებულმა ბიუროკრატიამ, გრინგმუტებისა და მეშჩერსკების შთაგონებით, მოუწოდა „ენერგიულს“ გენერალს, შემოსა იგი განუსაზღვრელის უფლებებით და უთხრა: შენ იცი, როგორ შემუსრავ რევოლიუციონერთა კოალიციას და დაიცავ ჩვენს რეჟიმსაო!

ტრეპოვი შთამომავლობით იყო „ენერგიული გენერალი“: მამა მისსაც დაავალა იმპერატორის ალექსანდრე მეორის მთავრობამ რეჟიმის დაცვა, როცა მე-70 წლების დასასრულს თავგანწირულ ნაროდნიკების მოწინავე რაზმმა სიტყვას თავი დაანება და საქმით შეუდგა ძველ რეჟიმის განადგურებას. მამა ტრეპოვი გადურჩა ვერა ზასულიჩის ტყვიას და შვილი ტრეპოვიც გადაურჩა მოსკოვის ტერრორისტთა შეთქმულებას. „სასწაულთა“ და ცრუმორწმუნებათა მოყვარე ბიუროკრატიამ იფიქრა, ტრეპოვები შელოცვილები არიან რევოლიუციისაგან და უზენაესი ძალა შესწევთ „კრამოლასთან“ საბრძოლველადაო, და იმედებით გაიმსჭვალა.

მაგრამ, ბედმა უმუხთლა ბიუროკრატიას! **Tempora mutantur**. ტრეპოვმა ბევრი სცადა, დახავსებულ რეჟიმის ყველა ფარ-ხმალი დაატრიალა, უკანასკნელ ჟამს ისიც-კი წამოიძახა—ტყვია-წამლის დახარჯვას ნუ მოერიდებითო, მაგრამ ამაოდ: განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დასცა „ყოვლის შემძლე დიქტატორი“ და ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა სიმართლისათვის ამხედრებულ ხალხის უძლეველობა!

ეხლა? ეხლა რაღას უნდა ველოდეთ? მოველით და ისევ ხმა მაღლა მოვითხოვთ, რომ დიდ ტრეპოვს თან გაჰყვნენ პატარა ტრეპოვები, რომელნიც ბლომად არიან რუსეთში, რომელნიც აქ, კავკასიაშიაც, გვყავან. ამ პატარა ტრეპოვებმაც ბევრი ძალა დახარჯეს „ძველის“ დასაცველად და „ახალის“ შესაჩერებლად, ბევრი სისაძაგლე ჩაიდინეს და კიდევ აპირობენ თურმე.

მაშ, ჩქარა, ძირს!..

ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთ

ღია წერილი

წყეულიმც იყოს ის თავისუფლება, რომლის დროსაც იღვრება ხალხის უფლებისთვის თავ-განწირულ მებრძოლთა სისხლი! გონება გერევა, გული გიწუხს იმ ამბებისაგან, რომელიც გურიიდან მოდის. გურულები აღსდგნენ, გურია განცალკევდაო,— ჰყვირიან პატრიოტები. დრო გადასულ ბიუროკრატიის დამქაშებმა ხალარა დაჰკრეს და გუშინ-წინ გურიის „დასაპყრობად“ და იქაურ ჯარის დასახმარებლად უკვე გაიგზავნა ტფილისიდან ორი პოლკი.

მერე არ იკითხავთ, ნამდვილად რა ამბავი იყო, რა მოხდა გურიაში? მოხდა ის, რაც ამ ჟამად რუსეთის ბევრ ადგილას ხდება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ გურულები უფრო აშკარად და მხნედ მოქმედებენ. სეპარატიზმს, როგორც პატრიოტები გაჰკივიან, რა თქმა უნდა, ადგილი არაა გურულებს შორის, რომელთა უმრავლესობაც თავით-ფეხამდე განმსჭვალულია სოციალ-დემოკრატიულის მოძღვრებით.

ნუ თუ, ბატონებო, ასეთ დროს გულხელი უნდა დავიკრიბოთ და ბიუროკრატიას გასაწეწად ხელში ჩაუგდოთ ეს საუკეთესო შვილნი საქართველოსი, ეს თავდადებული მებრძოლნი თავისუფლებისათვის, ქართველ ხალხის და იქნებ მთლად რუსეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ეს მოწინავე ავანგარდი?! არა და არა! ეს დანაშაულობა იქნებოდა!

მივმართავ ყველა გულწრფელ მებრძოლს ხალხის თავისუფლებისათვის—შეერთდნენ და დაუყონებლივ მიიღონ რადიკალური ზომები კავკასიის თავისუფლების მებრძოლთა პიონერების გადასარჩენად, სულით მაღალ და თავ გამოდებულ გურულთა დასახმარებლად.

სხვა ზომებთან ერთად წინადადებას ვიძლევი, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს გაზეთ „სინ ოტეჩესტვა“-ში ყველა პარტიის სახელით მოწოდება რუსის ხალხის მებრძოლ ელემენტების მიმართ—მხარი მისცენ თავიანთ მოძმე გურულებს და გადაარჩინოს ამოჟლეტისაგან.

დრო არ აყოვნებს. დღეს არა, ხვალ რუსის მთავრობის ჯარი მეტის ძალ-ღონით შეუდგება სისხლის ღვრას და ცეცხლითა და მახვილით გურულების „დაწყნარებას“ და ამ რიგად საუკეთესო შვილთა სისხლით შეიღებება დიდის ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება.

ძველი ს. რ.

გულს არ იტეხენ!

ნევის ნაპირებიდან უცნაური დაუჯერებელი ამბავი მოვიდა. იქიდან, სადაც ერთის სიტყვით ეკვრებოდა ბაგე ასორმოც მილიონიან ხალხს, სადაც მუშავდებოდა რუსეთის მცხოვრების ყოფა-ცხოვრების, აზრის და გრძნობის სამაგალითო გეგმა, იქიდან ემცნო თვალუწვდენელ რუსეთის იმპერიის სივრცეზე დასახლებულ სულდგმულთ, რომ ამიერიდან ნევის ნაპირები თვით დაუგდებენ ყურს იმათ, ვინც საუკუნოებით მარტო ბრძანებას ისმენდათ. უცნაური ამბავი უცნაური იყო მხოლოდ ერთის ჯგუფისათვის, რომელნიც ჟამთა ვითარებამ შეაჩვია ბატონობას, წურბელასავით სხვის სისხლის წოვნას, სხვის კისერზე ჯდომას. მარტო ამათ ეუცხოვათ თავისუფლების მახარობელი სიტყვები, დანარჩენებისთვის კი ეს მხოლოდ მცირედი შედეგი იყო თავგანწირულ ბრძოლისა, უმანკო მსხვერპლისა.

ეუცხოვათ წურბელებს, გაუკვირდათ და არ დაიჯერეს, რომ მათი მეფობა დროთა ვითარებამ შთანთქა და მალე თან წაიღებს თვით მათ გვამებს. ეუცხოვათ და ვერ დაეჯერებინათ, რომ უბრალო სიტყვებმა წაართვა ხელიდან ძალა ფარფაშობისა, ძარცვა-გლეჯისა, პასუხის უგებლობისა. ეუცხოვათ და არ დაიჯერეს, რომ ცხოვრების ადვირი წაერთვათ ხელიდან. ეუცხოვათ და არ დაიჯერეს, რომ ნევის ნაპირებიდან მოსული სიტყვები უბრძანებენ, თავი მოხარონ და თაყვანი სცენ ახალ დროშას, თავისუფლების ემბლემას. ეუცხოვათ და არ სჯეროდათ, მაგრამ მზე დიდებულად და მხიარულად [illegible] ქუჩებში ათასობით იკრიბებოდა მოქალაქე, გაისმოდა მძლავრი, აღმაჩქროლავი წარმტაცი ჰანგი თავისუფლების ჰიმნისა, გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვები დატანჯულ ხალხის სიმღერა-გოდებისა, რომელიც მოსთქვამდა, რომ მოვა დრო, აღსდგება ხალხი და გასწორდება წელში. მზის შუქი ანათებდა აქამდის აღკრძალულ წარწერას თავისუფლების დროშაზე.

ხედავდნენ წურბელები, ისმენდნენ ყველა ამას და არ სჯეროდათ მაინც. გავიდა ერთი დღე. გავიდა მეორე, მესამე. დედამიწა თითქოს გადაბრუნდა. ისე შეიცვალა ცხოვრების ელფერი. ვეღარ მოითმინეს წურბელებმა. სამი დღის დამშეულთ სისხლი მოსწყურდათ. წინად მსხვერპლი ათასობით ჰყავდათ. ეხლა დაინახეს, რომ მსხვერპლი საშოვარი გახდა. რა ექნათ, რითი მოეკლათ შიმშილ-წყურვილი? ეუცხოვათ და არ დაიჯერეს, რომ მსხვერპლი ხელიდან გამოეცალათ. ეუცხოვათ და არ დაიჯერეს, რომ წურბელობა ჩამოერთვათ. მაგრამ გულს არ იტეხენ! სწამთ, რომ წურბელობა ცხოვრების კანონია და არავითარი სიტყვა ვერ მოსპობს ქვეყნიერებაზედ. სწამთ, რომ არწივის მეფობა უძლეველია და ვერავითარი სიტყვა ვერ შეზღუდავს მას. სწამთ, რომ მსხვერპლი თავხედობს და გულის ჟინს იკლავს. სწამთ, რომ ცხოვრების სადავე უცაბედათ გავარდათ ხელიდან და საჭიროა უკანვე აღება და მაგრად დაჭერა.

სწამთ და გულს არ იტეხენ. თავი აიღეს გულადად, ჩააფრინდნენ გალაღებულ მსხვერპლებს და კვლავ დაუწყეს სისხლის წოვნა, მხოლოდ ერთის განსხვავებით. თვალების ასახვევად მეთოდი შესცვალეს: ვითომ უნდათ დაანახვონ მსხვერპლებს, რომ წურბელები სისხლსა სმენ არა იმიტომ, რომ სწყურიანთ, ან არა იმიტომ, რომ ძალა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ მსხვერპლი ავადმყოფია და სისხლის გამოშვება სჭირია. წინად გაუწითლებლად იქცეოდნენ, ეხლა კი მითომ რცხვენიანთ. სახეზე სიწითლე ეტყობათ და იმიტომ არწმუნებენ მსხვერპლებს: მოვალენი ვართ მოქალაქობრივი თავისუფლება უზრუნველ ვყოთ არა მარტო რევოლიუციონურ ჯგუფებისთვის, არამედ ყოველ მოქალაქისთვისაო. ცბიერო! როგორ ამბობ მაგას? მოიგონე ვის და ვისი კუდისთვის გამოსწოვე ამ დღეებში სისხლი? როცა დაინახე, რომ ძველებურად საშიშია ვისაც გენებება, იმას მოჰკიდო ხელი, შეადგინე ჯოჯოხეთური გეგმა მსხვერპლის მახეში გაბმისა. შენ დაარწმუნე ბნელი ბრბო, რომ შენი უწინდელი მსხვერპლი მტერია შენგანვე შეგროვილ ბრბოსი; შენ გაუთქვიფე თავში უგუნურ ბრბოს, რომ შენი უწინდელი მსხვერპლი შესჭამს იმას, თუ ჭკუას არ ასწავლი და კვლავ არ გახდი მორჩილ, უსიტყვო მონად. შენ დარაზმე უგუნური ბრბო და გამოიყვანე ბრძოლის ველზე, რომ ფარად გაგეხადა, დაგემალა შენი წყურვილი. უბრძანე უგუნურ ბრბოს, რომ მსხვერპლი გამოეგდო წინ და მაშინ შენ მაგრა ჩაჰკიდე პირი. უგუნურმა ბრბომ დაგიჯერა, მსხვერპლი ჩაგიგდო ხელში და შენც გაძეხი სისხლის წოვნით.

მაგრამ იცოდე, ადამიანის უმანკო სისხლი შხამიანია. იქნება გგონია, რომ ძველებურად გასუქდები. არა, წინად მსხვერპლებს სისხლის მაგივრად ძარღვებში წყალი უდიოდათ. ეხლა კი ნამდვილმა სისხლმა დაიწყო დენა. იგი ისეთი წითელია, როგორც თავისუფლების ემბლემა, რომელიც გულს გიხეთქავს. იგი ისეთი გესლიანია, როგორც გველის შხამი. გირჩევ, გულწრფელად გირჩევ, ნუ სვამ წითელ სისხლს, ნუ იკვეთავ შენი ხელით სიცოცხლეს.

ყვავი.

ცენტრი და განაპირა ქვეყნები

(მ. კოვალევსკის წერილიდან)

გაჰქრა რომის დიდი და ძლიერი იმპერია, მაგრამ მისი მორჩილი ხალხები დიდხანს [illegible] მადლობით იმ „რომაულ მშვიდობიანობას“, რომელიც იმპერიამ დაამყარა თავის ტერიტორიაზე. რომის ლეგიონები შიშის ზარსა სცემდნენ მოუსვენარ გარეშე მტრებს და დამორჩილებული ხალხები-კი მშვიდობიან ცხოვრებას ეძლეოდნენ, თვითონვე უძღოდნენ თავიანთ შინაურ საქმეებს და უეჭველ განვითარების გზას ადგნენ.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილე იდღესასწაულეს. ძლიერ რუსეთის მფარველობას ეძებდნენ ქართველები და რუსეთმაც იკისრა უზრუნველ ეყო მათთვის მშვიდობიანი ცხოვრება. სამაგიეროდ შემოერთებულებს უნდა აესრულებიათ ქვეშევრდომობის მოვალეობანი და მართლაც მთელის საუკუნის განმავლობაში უარს არაფერზე ამბობდნენ: ფულსაც იხდიდნენ და პირად სამსახურსაც ეწეოდნენ. კავშირი რუსეთისა და ამიერ-კავკასის შუა განმტკიცებულია და უფრო ღრმა ფესვებსაც გაიდგამს, თუ ურთიერთ ნდობა იქნება. რუსებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ამიერ-კავკასია ვერ გახდება ტერიტორია ვერც ახალ მაჰმადიან სასულთნოსი და ვერც ქართველების ან სომხების სამეფოსი, ასეთი სხვადასხვაობაა აქ ხალხებისა, ენისა, სარწმუნოებისა, ეკონომიურ ინტერესებისა. ამიერ-კავკასია რუსებთან კავშირში ეძებს ევროპის კულტურასა და მშვიდობიან ეკონომიურ განვითარებას.

„ამიერ-კავკასიის ხალხების ყოფა-ცხოვრება თავისებურია, რუსებისას არა ჰგავს. მარტო ეს კმარა დავრწმუნდეთ, რომ რუსეთი ვერ დაიმსახურებს ამიერ-კავკასიის ნდობასა და ერთგულებას, თუ ცენტრიდან მოახვევენ კისერზე რუსულ წესებს და არ განავითარებენ ადგილობრივ თვითმმართველობას. ამიერ-კავკასიას მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეს რუსეთთან: გარეშე, სამხედრო და სავაჭრო პოლიტიკა საერთო უნდა იქნეს. მაგრამ აუცილებელია მიენიჭოს ადგილობრივ სეიმს (პარლამენტს) ან სეიმებს ისეთ საქმეების გადაწყვეტაც-კი, როგორიც არის საადგილ-მამულო საქმე. რომ კავკასიის სეიმებსა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მოქმედების შუა თანხმობა იყოს, ერთი კარგი საშუალებაა: რაკი ორი პალატა იქნება და ზემო პალატას ოლქისა და ქალაქის წარმომადგენლობის ხასიათი უნდა მიეცეს, აქ რუსის ქალაქებისა და ოლქების წარმომადგენლებთან ერთად ამიერ-კავკასიის სეიმების წარმომადგენლებიც იქნებიან. ასეთ პირობებში განაპირა ქვეყნების თვითმმართველობა სრულიად არ იქნება შემაფერხებელი რუსეთის პოლიტიკურ მთლიანობისა და სამხედრო ორგანიზაციის ერთიანობისათვის. რუსეთი მთლიანი იმპერია იქნება მტრების წინაშე და ამისათვის საჭირო აღარ იქნება ადგილობრივ თავისებურობათა მოსპობა, ისტორიულ სიმართლის გადალახვა და მსხვერპლად შეწირვა რუსის მელოქისათვის.

ხალხების გამოცდილებამ და ისტორიამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ მეტროპოლიისა და კოლონიის კავშირი მხოლოდ მაშინ არის მტკიცე, როცა კოლონიას მინიჭებული აქვს თვით გამორკვევის უფლება. ყველაზე ადრე ეს გამოცდილება ინგლისმა გამოიყენა და შესაფერად შესცვალა თავისი პოლიტიკა. თუ ინგლისის სამხედრო კოლონიებს, მაგალითად, გიბრალტარსა და მალტას, ინგლისიდან განაგებენ და ჰმართავენ, სამაგიეროთ ისეთი ვრცელი სამფლობელოები, როგორც კანადა, კაპის ახალშენი და ავსტრალია, დღეს წარმოადგენენ თავისუფალ ფედერაციას, რომელიც თვითონ ინგლისის კონკურენციასაც-კი ტამოჟნის საშუალებით უწევს წინააღმდეგობას... ასეთ პირობებში სრულიად საკვირველი არ არის, რომ ახალშენი არ ჰფიქრობს მეტროპოლიას მოშორდეს და იმპერიალისმი უფრო და უფრო იკიდებს ფეხს ინგლისსა და ყველა ახალშენებში. ძველი კამათი ეგრედ წოდებულ „პოლიტიკურ მთლიანობასა“ და ვრცელ ადგილობრივ თვითმმართველობას შუა გადაწყდა და გადაწყდა ისე, რომ საუკეთესო საშუალება იმპერიის სიმტკიცისა არის ნდობა ამ იმპერიისადმი შიგ მოთავსებულ ხალხებისა და ეს ნდობა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ამ ხალხებს უფლებრივ წეს-წყობილებასთან მინიჭებული ექმნებათ ვრცელი ავტონომია, ე. ი. თავისუფლება თვით-გამორკვევისა ყველაფერში, რაც კი არ ეხება მთელ იმპერიის ინტერესებს, მის პოლიტიკურ დამოკიდებულებას.

„უნაყოფოდ ნუ ჩაივლის ჩვენის სამშობლოსათვის (რუსეთისათვის) ეს გაკვეთილი! მან უნდა გაუფანტოს ეჭვები იმათ, ვინც იმპერიის მთლიანობის დაცვისათვის ეროვნებასა და ადგილობრივ თავისუფლებას დევნის; იმპერიის მთლიანობა სრულიად არ თხოულობს, რომ სახელმწიფომ პიროვნება ჩაყლაპოს და ველიკორუსიზმი [illegible] ყველა ის ხალხებში, რომლების ისტორიული ბედი ველიკოროსიასთან არის დაკავშირებული“.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ ხმა დადის, რომ **ბათუმში ზღვით მოიყვანეს ჯარი** და მოიტანეს ტყვის მტყორცნელი ზარბაზნები.

◆ 28 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ხაშურში წავიდა საქონლის მატარებელი. როგორც-კი ამ მატარებელმა პირველი სამი ვერსი გაიარა, **ორთქლმავალი მიწაში ჩაიფლა და ვაგონები დაიმტვრა**. ამრიგად გზა გაფუჭებული აღმოჩნდა და ორი პოლკი, ტფილისიდან სამტრედიაში გასაგზავნად გაზადებული, ჯერ-ჯერობით აქვე დარჩა.

◆ ბევრის მეცადინეობის შემდე **ტელეგრაფი და ლიანდაგი შეაკეთეს** სამტრედიისა და ქუთაისამდის. თვით სამტრედიის სადგურზე არც მიმოსვლა და არც დეპეშების გზავნა არ არის, რადგან არც ერთი ნაწილის მოხელე ჯერ სამსახურში არ გასულა. ფოთსა და სამტრედიას შუაც შეკეთდა ლიანდაგი და ტელეგრაფი. შორაპნიდან ჭიათურამდე შეუკეთებიათ ლიანდაგი, მხოლოდ ამ ბოლო დრომდე სატელეგრაფო მართულები დაწყვეტილი და წყლის მილი გაფუჭებული იყო, ასერომ ორთქლმავლები უწყლობის გამო ვერ დადიოდნენ. გუშინ, 28 ოქტომბერს შორაპნიდან ჭიათურაში სახალხო მატარებელი უნდა გასულიყო. გზა ძალზე გაფუჭებულია სუფსიდან საჯავახომდის. ამ ადგილებში ჯერ არავინ მისულა გზის შესაკეთებლად. ბათუმიდან სუფსამდის გზა არ არის წახდარი. ყველგან ლიანდაგზე ჯარი მუშაობს. იქ გზა ისეა გაფუჭებული, რომ სულ ცოტა ორი კვირაა საჭირო ყველაფრის შესაკეთებლად და შესასწორებლად. ვერც ერთი სახალხო მატარებელი ვერ გაჰგზავნეს სამტრედიას და ვერც იქიდან წამოვიდა მატარებელი.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ გამოსცა **მოწოდება მოქალაქეთა მიმართ**. გამგეობა ურჩევს ხალხს დაწყნარდნენ, რომ 22 ოქტომბრის ამბავი არ განმეორდეს. ამასთან წინადადებას აძლევს სხვა და სხვა პარტიას, ორგანიზაციას, პრესსას, კავშირს, საზოგადოებას და წოდებას აარჩიონ თავიანთი წარმომადგენელნი, რომელნიც გამგეობასთან ერთად შეათანხმებენ სხვა მოთხოვნებს და შეიმუშავებენ მომავალ მოქმედების პოლიტიკურ პროგრამას.

◆ ტფ. **სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გადაუწყვეტია** კრებებისათვის სამი კლუბი იქონიოს: ერთი—დიდუბე-ნაძალადევისათვის, მეორე—შუა ქალაქის და ვერისათვის და მესამე ავლაბრისთვის.

◆ როგორც წინადაც ვწერდით, ტფილისში ხმა გაავრცელეს, ვითომ **თათრები და ხულიგანები სომხების** აკლებას აპირებენო. ორი დღეა ქალაქში გავრცელდა თათრულად დაბეჭდილი ფურცლები. ამ ფურცლებით მაჰმადიანნი იწვევენ მცხოვრებთ, არ დაიჯერონ ხსენებული ხმები. ფურცლებში დაბეჭდილია:

ტფილისში მცხოვრებ მაჰმადიანებს და სომხებს: ვსთხოვთ ჩვენ ძმებს არავითარი მნიშვნელობა არ მისცენ იმ ხმებს, რომელიც გავრცელდა ამ დღეებში და ეცადნენ მოსძებნონ ისე წყარო, საიდანაც ეს ხმა გამოვიდა. ძმებო, უკვე დანთხეული სისხლი მაჰმადიანთა და სომეხთა, აკლებული და აწიოკებული მამულები აღარ აკმაყოფილებთ საზიზღარს პროვოკატორებს—შეითნებს; მათ უნდათ მშვიდი და წყნარი ტფილისი გადააქციონ ბაქოდ,

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐ.

II *)

საჭიროა თუ არა სამღვდელოება?

ამ კითხვაზე „მწყემსის“ უსახელო თანამშრომელი გვიპასუხებს, რომ მთელი ქართველი ერი, როგორც ხალხი, ისე „განათლებული საზოგადოებაც“, არა თუ **ძველად**, არამედ **დღესაც** კი „ღრმად მორწმუნეა, თავის დღეში ურწმუნოებას არ შეუშფოთებია მისი გული, და იმედია, არც **კვლავ** უღალატებს ქრისტეს ციურ მოძღვრებასა“ (№№ 13—14, გვ. 2); ამიტომ სრულიადაც გასაკვირველი არაა, რომ „ჩვენი სამღვდელოება კიდევ ნუგეშობს, რომ დღეს ქართველ ერს თვალი და ყური მისკენ მიუპყრია და სულგანაბული ელოდება მისს ძველებურს აღმაფრთოვანებელ თაოსნობასა“, „რიხიან ხმასა“ და „სიმართლისათვის ხმის ამოღებასა“. (№ 11, გვ. 1—2); ე. ი., მდაბიურად რომ ვთქვათ, ქართველი ერი მუდამ ღრმად მორწმუნე იყო, არის და იქნება, რის გამოც, უეჭველია, მისთვის მუდამ საჭირო იყო, არის და იქნება თვით სამღვდელოებაცაო.

რაც შეეხება ბ-ნ ივ. გომართელს, მართალია, ის დარწმუნებულია, რომ შორეულ „მომავალში კაცობრიობა და მასთან ერთად ქართველი ერიც მივა იმ შეგნებამდე, რომ ადამიანისათვის ყველაფერი აქ იწყება—დედამიწის ზურგზე—და აქვე თავდება“; მაგრამ, რამდენადაც საქმე კაცობრიობისა და კერძოდ ჩვენი ერის აწმყო მდგომარეობას შეეხება, იგი სრულის ობიექტიურობით აღიარებს იმ ფაქტს, რომ დედამიწის ზურგზე ჯერ კიდევ არ მოიპოება „არც ერთი კულტურული ერი, რომელიც სარწმუნოებრივ გრძნობას მოკლებული იყოს“ და „საიქაოსა და უზენაეს არსებაზე“ რაიმე წარმოდგენა არა ჰქონდეს. „დღეს ქართველი ერის ერთ ნაწილსაც სარწმუნოებრივი გრძნობა აქვს და ამიტომ **სამღვდელოების არსებობასაც საფუძველი აქვსო**“,—დაასკვნის ავტორი. მაგრამაო,—განაგრძობს იგი,—ხალხსა სურს არა ისეთი სამღვდელოება, როგორიც დღემდე ჰყავდა, ე. ი. არა „მონა და მარჯვენა ხელი ბიუროკრატიისა“, ხალხის გონებისა და თავისუფლების დამხშველი, არამედ სამღვდელოება „ქრისტეს მცნების მტკიცედ აღმასრულებელი, დაჩაგრულისა და გაჭირვებულის ქომაგი, სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავგამოდებული, ყოველგვარ ძალმომრეობისა და ბატონობის მტერი, თავისუფლებისა და თანასწორობის მოყვარული; ერთის სიტყვით, ხალხს უნდა იმგვარი სამღვდელოება, რომელიც ხალხს უდგეს გვერდში და მხოლოდ ხალხს ემსახურებოდეს, მხოლოდ ხალხის ინტერესებს იცავდეს“.

ბ-ნ ნაკაშიძეს ვერ შეუწყნარებია ბ-ნ ი. გომართელის ამგვარი მსჯელობა; მას აოცებს, ბ-ნმა გომართელმა რათ დაიმცირა ისე თავი, რომ „ხალხის ცნობა-გონებას შეუფარდა თავისი მსჯელობა, ხალხის მისწრაფების მიხედვით გვიწყო საუბარი, ხალხის თვალთა ხედვის ისარს მიენდო“ და, დასასრულ, უკიჟინებს, რომ მას, გომართელს, „ვერ შეუგნია ქრისტეს ცნების ძირითადი აზრი, ქრისტიანული იდეალი“, რომელიც, თვით ბ-ნ ნაკაშიძის აზრით, „მაშვალს არა ცნობს ადამიანისა და ღვთის შორის“, არამედ „პირდაპირ, უმაშვალოდ, უღვიძებს თვითეულ ადამიანს სარწმუნოებრივ გრძნობას, რომელიც ჰუმანობა-კაცთმოყვარეობაში გამოიხატება“. ამიტომ სრულიად ზედმეტია ის „დაკანონებული ჯგუფი“, „კასტა ანუ წოდება“, რომელსაც სამღვდელოებას ეძახიან,—და არა თუ მარტო ზედმეტია, მავნებელიცაა, რადგან, ბ-ნ ნაკაშიძის შეხედულებით, „რამდენადაც სამღვდელოება სამღვდელოებს, იმდენად **უარყოფს ქრისტეს მცნებას**“. ასეთია ბ-ნ ნაკაშიძის აზრი სამღვდელოების შესახებ.

რა გვეთქმის აქ დასახელებულ სამ შეხედულების შესახებ?

როგორც წინად, ისე აქაც უსახელო ავტორის აზრებს ჩვეულებრივი გაზვიადება ეტყობა. იგი გადაჭრით გვეუბნება, რომ ქართველი ერის როგორც შეგნებული, ისე შეუგნებელი ნაწილი, მუდამ „ღრმად მორწმუნე იყო და არის, თავის დღეში ურწმუნოებას არ შეუშფოთებია მისი გული“, და, თანაც იმედოვნებს, რომ „არც კვლავ უღალატებს ქრისტეს ციურს მოძღვრებასაო“. მაგრამ ჩვენის ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა და, შორს რომ არ წავიდეთ, თვით ბ-ნ გომართელისა და ნაკაშიძის მაგალითიც საკმაოდ გვიჩვენებს, თუ რამდენად საფუძვლიანია ამგვარი „იმედი“. დღეს ძნელად მოიპოება ისეთი ინტელიგენტი, რომელსაც სარწმუნოებრივი გრძნობა შერყეული და „შესუსტებული“ არა ჰქონდეს. ბევრს მათგანს აღნიშნული გრძნობა უბრალო ცრუ-მორწმუნეობად მიაჩნია, ზოგიერთებს-კი „ჰუმანობა-კაცთმოყვარეობის გრძნობად“. ცხადია, ჩვენი ერის ამ ნაწილზე ადვილი სათქმელი არაა, ვითომც იგი სამღვდელოებას საჭიროებდეს. მით უმეტეს შეუძლებელია ითქვას, ვითომც დღეს ჩვენს ინტელიგენციას თვალი და ყური სამღვდელოებისაკენ ჰქონდეს მიპყრობილი და „სულ-განაბული ელოდეს მისს ძველებურს აღმაფრთოვანებელ **თაოსნობას**“.

დღეს არა თუ ინტელიგენცია, მდაბიო ხალხიც-კი თავის საქმეებში სამღვდელოებისაგან არავითარს „თაოსნობას“ არ ელოდება. ეს რომ ასე იყოს და ხალხი სამღვდელოების თაოსნობას ელოდებოდეს, დიდად სამწუხარო იქნებოდა, რადგან ამით დამტკიცდებოდა, თითქოს ჩვენი ინტელიგენცია სამღვდელოებაზე ბევრად უკან იყოს ჩამორჩენილი და საკუთარის ინიციატივით საზოგადო საქმეების დაწყება და გაძღოლა ან შეეძლოს. მაგრამ, საბედნიეროდ, როგორც ვთქვით, დღეს ეს ასე აღარაა: საზოგადოებრივ-მოქალაქობრივად არა თუ ინტელიგენციამ, ხალხმაც-კი იმდენად წინ გაუსწრო ჩვენს სამღვდელოებას, რომ უკანასკნელი პირველთ „თაოსნობას“ ვერ გაუწევს, მით უმეტეს, რომ პირველნი სხვის თაოსნობას არა საჭიროებენ; საამისოდ მათ საკუთარი ძალებიც საკმაოდ მოეპოვებათ.

მართალია, იყო დრო, როდესაც გონებრივის განვითარებით ჩვენში სამღვდელოება პირველობდა, რადგან იმ დროის შესაფერისად ყველა წოდებაზე უფრო იგი იყო წერა-კითხვასა და მწიგნობრობაში განსწავლული. მაგრამ ის დრო, დიდი ხანია, წავიდა და აღარც მობრუნდება. ამიტომ უადგილოა იმედი, თითქოს ჩვენმა სამღვდელოებამ ოდესმე შესძლოს საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხს „თაოსნობა“ გაუწიოს. მაგრამ, ამასთანავე, ისიც სრული ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენი ერის ერთ ნაწილს ჯერ კიდევ აქვს სარწმუნოებრივი გრძნობა, აქვს წარმოდგენა უზენაეს არსებასა და საიქიო ცხოვრებაზე, საჭიროდ მიაჩნია წირვა-ლოცვა, ნათლისღება, ზიარება, მიცვალებულის წესის აგება, პარაკლისები, პანაშვიდები და სხვანი, ანუ, მოკლედ რომ მოვჭრათ, სწამს უზენაესი არსება, საიქიო ცხოვრება და ერთხელვე შეთვისებულის ფორმით ჰხატავს თავის ურთიერთობას ერთთანაცა და მეორესთანაც. ასეთია ჩვენი ერის ნაწილის ფსიხოლოგია, და მეტად ოპტიმისტი უნდა იყოს კაცი, რომ იფიქ-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 2985

ერევნად და სხვა ამ გვარ ადგილებად. მაგრამ ცნობილია, რომ ტფილისის სომხები და მაჰმადიანები იარაღად არ გაუხდებიან ბნელ ძალებს უდანაშაულო სისხლის დაქცევის საქმეში. ნამდვილად გწამდეთ, რომ ხმებს ავრცელებენ ის „ხულიგანები", რომელთა მიზანია ხალხთა უბედურებით ისარგებლონ და გაძარცვონ და გლიჯონ მცხოვრებნი.

◆ კავკასიის მთავრობის განკარგულებით, მრავლად **დაიბეჭდა 17 ოქტომბრის მანიფესტი**. ეს მანიფესტი ნამესტნიკის მოწოდებითურთ დაურიგდა სხვა და სხვა გუბერნიის ადმინისტრაციას ხალხში გასავრცელებლად. ნამესტნიკი თავის მოწოდებაში იწვევს მცხოვრებთ, დამშვიდდით, რომ შემეძლოს განვახორციელო მანიფესტით აღთქმული თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა და სხვაო.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის **მოურავმა მიიღო გენერალ-გუბერნატორის მოწერილობა**. გენერალ-გუბერნატორი ავალებს, ქალაქმა დაუყოვნებლივ დაუთმოს ჯარს ბინები და შეაკეთოს ბარიათინსკისა, ხიდისა და სხვა ქუჩები, სადაც ახლა ქვის დაგება არ დამთავრებულა. ასეთი ქუჩები ხელს უშლიან ჯარის თავისუფალ მიმოსვლას.. მე ნებას ვერავის მივცემ ქუჩებში ბარიკადები გამართოსო, სწერს ბოლოს გენერალ-გუბერნატორი.

◆ **ქიზიუში კენჭის ამოსალებად** არც ერთი ყმაწვილი არ გამოცხადებულა. როგორც გვატყობინებენ, გლეხები სახელმწიფო გადასახადებზედაც გადაჭრილ უარს ამბობენ თურმე.

◆ 26 ოქტომბერს **დაჰკრძალეს უდანაშაულო მსხვერპლნი** 22 ოქტომბრის არა ადამიანურ საქციელისა. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რა გულის შემზარავი სცენები უნდა მომხდარიყო დაკრძალვის დროს. საზარელი, გულის გამგმირავი იყო დასაფლავება ახალგაზრდა სტუდენტის ვაჩნაძისა და იმის მეუღლისა. როდესაც ცხედრები მიჰქონდათ, სამარისებურ სიჩუმეში აქა-იქ გაისმოდა გულში მომკვდარი ქვითინი. უფრო შემაძრწუნებელია თვით ფაქტი მათის მხეცურად მოკვლისა. სტ. ვაჩნაძე მეუღლითურთ ნაცნობებიდან მოდიოდა თურმე. ის იყო ზუბალაშვილის სახლს გასცილებია, რომ ატეხილა საშინელი სროლა. ცოტა ხანს შეჩერებულან. ამ დროს ახალგაზრდა ცოლს ტყვია მოჰხვედრია გვერდში და მეორე მხარეს გავარდნილა. ქალი წაქცეულა. ქმარი დახრილა ცოლის წამოსაყენებლად, მაგრამ იმასაც რამდენიმე ტყვია მოჰხვედრია. ამას გარდა ქალი ხმლითაც აუჩეხიათ. ესეც არ უკმარებიათ და ორივენი გაუძარცვავთ. სტუდენტისათვის ჯიბიდან ამოუცლიათ 40 მან. ხელებიდან ცოლ-ქმარისათვის ბეჭდები წაუცლიათ ისე მხეცურად, რომ ტყავი გადაუცლიათ. ქალისათვის გაუხდიათ ფეხსაცმელები და სხვა. მათს დაკრძალვაზე რამდენიმე სიტყვაც წარმოითქვა. ასევე გულის მომკვლელი იყო დაკრძალვა გიმნაზიის 8 წლის მოსწავლის პაწაწა ცირიულნიკოვისა.

◆ როგორც გავიგეთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟ. ივანოვსკის შეუდგენია სია იმ მოსამსახურეთა, რომელნიც ხელს უწყობდნენ **უკანასკნელ საყოველთაო გაფიცვას**, პოლიციის გამგის გენერალ შირინკინისთვის წარუდგენია და უთხოვნია ამ მოსამსახურეთა დასჯა. გენ. შირინკინს თავის მხრივ სია ნამესტნიკისთვის წარუდგენია, მაგრამ ნამესტნიკს ივანოვსკის თხოვნა არ შეუწყნარებია.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსმა ინჟ. ივანოვსკიმ** უკვე გაანება სამსახურს თავი ივანოვსკი გუშინ საღამოთი უნდა წასულიყო ტფილისიდან.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს, ძეგვთან და მცხეთასა და კასპის სადგურებს შუა რკინის გზას დაეთმოს სახაზინო ადგილები. აზრადა აქვთ ამ ადგილებში **რკინის გზის მოსამსახურეთათვის სადგომები მოაწყონ**.

◆ **ბათუმის საპყრობილის ტუსაღნი შიმშილით გაფიცულან**. ტუსაღებს, „ვოზრ."-ს სიტყვით, თავიანთი მოთხოვნები მთავრობისათვის წარუდგენიათ.

◆ **როსტოვის სატუსაღოში 50 ქართველი ყოფილა**. ყველა ესენი 28 სექტემბერს ქართლიდან გაგზავნილნი არიან. ამ ქართველებს ნამესტნიკისთვის დეპეშა გამოუგზავნიათ და უთხოვნიათ ამნისტიის ძალით განთავისუფლება.

◆ **ტფილისის პოლიცმეისტრად**, პოდპ. ცისსის ნაცვლად, როგორც ვწერდით, დანიშნეს კაპ. პოდგურსკი, მაგრამ ამან უარი განაცხადა. ამის შემდეგ ისევ პოდპ. ცისს სთხოვეს, მაგრამ ისაც უარზეა თურმე.

◆ ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ **სთხოვა გენერალ-გუბერნატორს**, ნება დართოს საბჭოს 30 ოქტომბერს ოფიციალური კრება მოახდინოს.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობას ნავთი შემოელია. რადგან რკინის გზის სამმართველომ გამგეობას ნავთი არ ასესხა, ქალაქი ორი უკანასკნელი ღამე ბნელაში იყო.

◆ გაზეთ „ტელეფონის" რედაქტორს ნება მიეცა გააფართოვოს თავის გაზეთის პროგრამა.

◆ სად. სამური. 28 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, მანევრების დროს მომავალ მატარებელს (№ 592) ოთხი ვაგონი დაიმტვრა. გზა არ შეკრულა.

—

ხვალინდელ №-თან გამოვა „**სურათებიან დამატების**" 357 №, რომელშიაც მოთავსებული იქნება პორტრეტები ა. გ. კლდიაშვილისა და თავ. ს. ნ. ტრუბეცკოისა; სურათები 22 ოქტომბერს აოხრებულ 1-ლი გიმნაზიისა, განკევიჩის ფოტოგრაფიისა, სადღეისო კარრიკატურა და სხვა.

კრება გურიის ამბების გამო

გუშინ, 28 ოქტომბერს, მოლაპარაკება იყო **გურიის საქმეების გამო**. კრება მოხდა დეპუტატთა საკრებულოში მარშლის მოადგილის თავ. ორბელიანის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ ქართულ დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და სხვანი. დამსწრეთაგან ვინც რა იცოდა გურიის ამბების შესახებ, აცნობა კრებას. ამ ცნობებიდან ის აზრი გამოირკვა, რაც ჩვენი გაზეთის წერილებშია გატარებული.

საქმე დაწყებულა იმით, რომ ჩოხატაურში გურულებს მიტინგი გაუმართავთ. აქ პლასტუნთა პოლკის ყაზახებს შეტაკება მოსვლიათ ხალხთან, თოფები უსროლიათ და რამდენიმე კაცი მოუკლავთ. ამის გამო მეორე დღეს ხალხი ყაზახებს დასცემია, იარაღი წაურთმევია და ბევრიც დაუხოცია. ამის შემდეგ მთელი გურია ფეხზე დამდგარა.

როცა ზოგიერთებმა იკითხეს, მთავრობა ეხლა რას აპირებსო, განაცხადეს, გადაწყვეტილია დაიწყოს ნამდვილი ბრძოლა გურიის წინააღმდეგაო. გაგზავნილი ყოფილა 8,000 სალდათი, ხუთი ზარბაზანი, 6 ტყვიის მტყორცნელი და მომზადებულია 2 მილიონი ტყვია ხალხის საჟლეტად. გენერალ ალიხანოვს ნაბრძანები აქვს, პირდაპირის იერიშით მივიდეს. ხუთს ვერსზე მარცხნივ და მარცხნივ ყველაფერი უნდა განადგურდეს და ამ რიგად ჩავიდეს გენერალი ოზურგეთამდე. იქ გამოიწვევენ მეთაურებს და მოსთხოვენ დამორჩილებას. თუ ხალხმა უარი განაცხადა, კიდევ გაჰგზავნიან ჯარს და შეუდგებიან საქმეს.

ამ ამბავმა მეტად დაალონა კრება. გამოითქვა ბევრი სხვა და სხვა მოსაზრება. უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ყოველი ღონე უნდა იქნას მიღებული უბედურების თავიდან ასაცილებლადაო. გურიის განცალკევება არა აქვს აზრად. ეს უნდა გავაგებინოთ მთავრობას და უნდა განვმარტოთ, რომ რეპრესიები არა თუ დაამშვიდებს, უფრო გაამწვავებს საქმეს.

კრებამ ბოლოს დაადგინა, არჩეულ იქნას დეპუტაცია, ეცნობოს საქმის ვითარება ნამესტნიკს და ეთხოვოს, შეჩერებულ იქნას ჯარის გაგზავნა გურიაში; ეცნობოს აგრეთვე, რომ თუ იგი ჯარს შეაჩერებს, ქართველი ხალხი გამონახავს საშუალებას გურულების მოძრაობის დასაწყნარებლად. ამორჩეულ იქმნა ბიურო ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებისაგან, რომელმაც უნდა აცნობოს მთელ რუსეთის საზოგადოებას საქმის ნამდვილი ვითარება.

ტფ. ქალაქის თავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს დაევალა შეატყობინოს ყოველივე კავკასიისა და რუსეთის ქალაქის თავებს და ბიუროსთან ერთად მთელი საზოგადოების ყურადღება მიაქციოს ამ საქმეზე.

დეპუტაციის წევრებად არჩეულ იქმნენ: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გიორგი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, ქალაქის მოურავის მოადგილე თ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, თავ. ვ. გ. მაჩაბელი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, მ. ა. გედევანიშვილი, დ. ზ. სარაჯიშვილი, ი. ი. ზურაბიშვილი, თავ. პ. დ. ერისთავი, ექვ. თაყაიშვილი და ვ. რ. ყიფიანი.

ბიუროს შედგენის საქმე და დადგენილების შესრულება საზოგადოების აზრის გამოსაწვევად კრებამ დაავალა „ვოზროჟდენიეს"-ა და „ივერიის" რედაქტორებს. დეპუტაცია გუშინ საღამოსვე შეიკრიბა და გადასწყვიტა, ჯერ ინახულოს ნამესტნიკის თანაშემწენი გენერალი ი. ღ. მალამა და ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი.

ხმა შორიდან

I

პროფესორის აზრი

პეტერბურგი, 19 ოქტომბერი

მთელი რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო-საყურადღებოა ამ ჟამად, რომ ყოველივე მოვლენა ითხოვს ფიქრს, აზროვნებას.

შეუმჩნევლად და დაუფასებლად არაფერს არ უნდა ვტოვებდეთ.

ამიტომაც გადავწყვიტე დღეიდან გამოველაპარაკო ხოლმე მკითხველს და ვუამბო საამო თუ საწყენი ამბები.

პეტერბურგის ცხოვრება ეხლა ყველას ყურადღებას იქცევს. ეს არც გასაკვირველია, რადგან პეტერბურგის ცხოვრების ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელის სახელმწიფოსთვის.

პეტერბურგში დიდი რიცხვია მუშათა, მოსწავლეთ, ინტელიგენტთა. ბოლოს დროს საზოგადო გაფიცვამდე ძლიერ გახშირდა მიტინგები და კრებები. ესწრებოდნენ განურჩევლად ყველანი.

მთელს რუსეთში და განსაკუთრებით პეტერბურგში ჰაერი მძიმდებოდა, ივსებოდა ელექტრონით და ყველანი გრძნობდნენ, რომ დღე-დღეზე მოხდებოდა არევა, გაისმოდა გრგვინვა, გრიალი... ელექტრონი გასჭრიდა ჰაერს და იელვებდა...

მე ამ მოკლე ხანში ვიყავი ადესსასა, ვარშავასა, კიევსა, მოველ აქ—პეტერბურგში და ყველგან ერთსა და იმავეს ვხედავდი და ვგრძნობდი, რომ ყველანი რაღასაც მოელოდნენ.

ამ საღამოსვე გამართულ კრებებზე ორატორებმა განაცხადეს —ეს დასაწყისია, ხვალზედ გაგრძელება იქმნება, გაფიცვა მოხდება მთელს რუსეთში, ყველა რკინის გზებზე და სხვაგანაცაო.

ეს სიტყვები გამართლდა.

მეორე დღეს ყოველ მხრიდან მოდიოდა დეპეშები.

საერთო გაფიცვა განხორციელდა...

რკინის გზათა გაფიცვას მოჰყვა ქარხნების გაფიცვა და მრავალ დაწესებულებათა შეჩერება... ცხოვრების ბორბალი შეირყა.. ძიმედ იწყო ბრძოლა...

„საერთო გაფიცვა, საერთო გაფიცვა" გაისმოდა ყველგან, და გაფიცვაც გაძლიერდა...

ყველა რაღაცას მოელის, რაღაც უნდა მოხდეს...

პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა და ადგილობრივ ჯარის უფროსმა გამოსცა ბრძანება: „...ტყვია არ დაზოგოთ" თუ არეულობა მოხდესო. ხალხმა ეს სიტყვები დააფასა, იგრძნო ძალა და მნიშვნელობა ასეთ ძლიერ და ზარდამცემ სიტყვებისა...

კრებებზე გადასწყვიტეს გაფიცვა იყოს ჩუმი, ესე იგი ჯართან შეტაკებას მოერიდნენ.

ასეთმა გარემოებამ ჰაერი მეტად დაამძიმა, მაგრამ მოძრაობა არ შეჩერდა. გაფიცვა უფრო იზრდება. გაფიცულთ ემატებოდა ინჟინერთა კავშირი, ფარმაცევტები და სახელმწიფო დაწესებულებანი... გაიფიცნენ ჟურნალ-გაზეთები... ჩაქრა ელექტრონი. ზოგ ქუჩას ცეცხლით ანათებდნენ. პროჟექტორით ანათებდნენ, ნევის პროსპექტს. ხმა გავარდა, ხვალ ზეგ ახალი მანიფესტი იქნება გამოცხადებულიო ..

ყველანი მოელოდნენ ამ მანიფესტს, მაგრამ მოძრაობა მაინც არ შეჩერებულა...

17 ოქტომბერს, ესე იგი გუშინ, ღამე გამოცხადებულ იქნა მანიფესტი. ღამის 12 საათზე ნევის პროსპექტზე მოხდა დიდი მანიფესტაცია. დღეს ქალაქი მოირთო სამფეროვან დროშებით, შეიქნა მანიფესტზე სჯა-ბაასი... ზოგნი ფიქრობდნენ ეხლა გაფიცვა მოისპობაო, მაგრამ საქმე სულ სხვა გვარად დატრიალდა...

თერთმეტ საათზე ნევის პროსპექტზე, ყაზანის სობოროს წინ მოიყარა თავი აუარებელმა ხალხმა და ამართეს ოცამდის წითელი დროშა. ყველა დროშაზე ეწერა: „თავისუფლება". აქ ითქვა ბევრი ლამაზი და თავისუფალი სიტყვა. პოლიცია არა სჩანდა.

ეს გახლდათ პირველი თავისუფალ კრება და პირველი თავისუფალი სჯა-ბაასი საჯაროდ...

ერთის საათის შემდეგ ათიათასი კაცი და ქალი წითელი დროშებით, მარსელიეზას და სხვა სიმღერით გაემართა უნივერსიტეტისაკენ. ყველა რაღაც არა ჩვეულებრივ გრძნობას გაეტაცა...

გაიარეს მთელი ნევის პროსპექტი, სასახლის წინ, სადაც 9 იანვარს დახოცილ იქნა მუშები, იგალობეს „საუკუნო ხსენება" და წავიდნენ უნივერსიტეტში.

ნაწილი შევიდა უნივერსიტეტში. დანარჩენნი დარჩნენ უნივერსიტეტის წინ გაშლილ მოედანზე. უნივერსიტეტის თავსა და იმ აივანზე, რომელზედაც ორატორებმა მოიყარეს თავი, ააფრიალეს წითელი დროშები.

ორატორებმა იწყეს „თქმა სიტყვათა"... ეს სიტყვანი იყო ძლიერი, გულწრფელი, თავისუფალი და თამამი... ლაპარაკს არავინ ხელს არ უშლიდა...

წამ და უწუმ ჰაერში უშვებდნენ წითელ ბურთებს...

ამ დროს ამ საჯარო კრებას შეადგენდა 20 ათასი კაცი... დაადგინეს შემდეგი რეზოლიუცია: „ეს მანიფესტი ხალხს არ აკმაყოფილებს, გაფიცვა არ უნდა შესწყდეს, ახლავ დავიყოთ ჯგუფებად, ვიწყოთ ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში სჯა და ოთხ საათზე ყველანი შევიკრიბოთ ყაზანისს სობოროსთან (ნევის პროსპექტზე)".

ამით დაიშალა კრება.

მართლაც მთელი დღე აქა-იქ ვხვდებოდით ჯგუფებს წითელის დროშებით.

ოთხ საათზე მართლაც მოხდა არა ჩვეულებრივი დიდი კრება, რომელმაც გაიარა მთელი ნევის პროსპექტი დროშებით, თავისუფალ სიმღერით და წავიდნენ უნივერსიტეტის მოედანზე.

პირველს ჯგუფს შეადგენდა 50 ათასი კაცი და ქალი. მაგრამ ამათ ხან გამოშვებით მიუყვებოდნენ მუშათა ჯგუფნი დროშებით... მთელს კრებას უნივერსიტეტთან რვა საათზე საღამოს შეადგენდა 100 ათას კაცზე მეტი.

ამის გარდა ბევრ ადგილას ხდებოდა კრებები...

დღევანდელ დღეს—საუბედუროდ—სამწუხარო შემთხვევაც მოჰყვა თან. მიუხედავად გამოცხადებულ თავისუფლებისა, ხალხს და პოლიცია-ჯარს შორის მოხდა შეტაკება. დღეს დაჭრილ იქნა ყველას საყვარელი და ცნობილი პროფესორი ტარლე. შუა დღისას—მოკლულ იქნა ჩვენი თანამემამულე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ბიბილაური.

„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისაო", ნათქვამია და მრწამს კიდეც, მაგრამ ცოტათი სასიამოვნო წარსულმა თუ გულ-მოსაკლავი მომავალი შვა, არაფერი საამოა...

გუშინდელი დღე პეტერბურგისთვის და მასთან ერთად მთელის რუსეთისთვის ცოტათი საიმედო იყო... ხალხი დარწმუნებული იყო დღეიდან თავისუფლად შევიკრიბებით, ვიბაასებთ, ვერავინ დაგვიშლისო...

ამას მოწმობდა მანიფესტი... მაგრამ ცხოვრება ცვალებადია...

წარსულმა დღემ შვა დღევანდელი დილა და ამ დილამ შეაჩერა იმედი... დღევანდელი დილა ზარდამცემი გამოდგა, „გუშინმა" ცუდი „შვილი" გვიძღვნა...

დღეს არსად შეკრების ნებას აღარ იძლევიან...

პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა დღეს გამოაკრა შემდეგი განცხადება: „გუშინ, სამწუხაროდ, სხვა და სხვა ადგილას მოხდა შეტაკება ხალხს და პოლიცია-ჯარს შორის, აგრეთვე მცხოვრებთა, სხვა და სხვა ჯგუფთა შორის. ამიტომ იქნება მიღებული მეტად სასტიკი ღონე"...

ასეთ განცხადების შედეგი გახლდათ კრებების აღკრძალვა. დღეს უნივერსიტეტი დაკეტილია, კარებთან ჯარის კაცები დგანან, ყაზანის სობოროსთან (ნევის პროსპექტზე) შეკრების ნებას არ აძლევენ, დგანან პოლიცია და ცხენოსანი ჟანდარმები. თავს მოიყრის თუ არა რომელიმე ჯგუფი—იმ წამსვე ძალით ჰფანტავს თავმოყრილთ.

აგრე მიდის მთელი დღე...

ხალხს ვერა გაუგია-რა...

დღესაც მოხდა სხვა და სხვა ადგილას შეტაკება, დღესაც არა ერთი იმსხვერპლა შეტაკებამ...

უბედურება ის არის, რომ ეგრედ წოდებულ „ხულიგანების" თავგასულობას საზღვარი არა აქვს, ამ ვაჟბატონებს თავიანთ უსაზღვრო თავხედობით და ეშმაკობით ბევრი რამ უნდათ ჩაიდინონ, მაგრამ

რის, ვითომ ყოვლისავე ამის აღმოფხვრა ხალხის გულიდან და ცხოვრებიდან შესაძლო იყოს ამ ხანად. როგორც მოგეხსენებათ, ამგვარი ცვლილება ჯერ-ჯერობით თვით მოწინავე ქვეყნებშიაც არ მომხდარა: იქაც ხალხის ერთ ნაწილს სწამს საიქიო და უზენაესი არსება, და ამა თუ იმ ფორმით ხატავს მათთან ურთიერთობას. ამიტომ სრულ სიმართლეს ბძანებს ბ-ნი ი. გომართელი, როდესაც ამბობს, რომ ჩვენს „ხალხს უნდა სამღვდელოებაო". დიახ, ჩვენი ერის უდიდეს ნაწილს აქვს სხვა და სხვა გვარი სარწმუნოებრივი მოთხოვნილება, სწამს, რომ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მხოლოდ სამღვდელოების დახმარებით შეუძლია და, ცხადია, თვით სამღვდელოებაც საჭიროდ მიაჩნია. მეორე მხრით, სრული ჭეშმარიტებაა ის აზრიც, რომ, რამდენათაც საქმე სამღვდელოების ზნეობრივ ფიზიონომიას შეეხება, ჩვენს ხალხსა სურს „სამღვდელოება ქრისტეს მცნების მტკიცეთ აღმასრულებელი, დაჩაგრულისა და გაჭირვებულის ქომაგი, სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავგამოდებული, ყოველგვარ ძალ-მომრეობისა და ბატონობის მტერი, თავისუფლებისა და თანასწორობის მოყვარული", ერთის სიტყვით ხალხს უნდა სამღვდელოება ზნეობრივ სიფაქიზისა და სამართლიანობის არა მარტო მქადაგებელი, არამედ დამცველი და განმახორციელებელიც. ხალხს არ შეუძლია გულწრფელად პატივი სცეს და ნდობით მოეპყროს იმ მღვდელს, რომელიც სიტყვით სხვას ამბობს და საქმით-კი სხვას აკეთებს, რომლის აზრისა და ცხოვრების შორის მთელი უფსკრულია გახეთქილი.

თქმულის მიხედვით, უსახელო ავტორისა და ბ-ნ ი. გომართელის აზრები ასე უნდა შეუდუღდეს ერთმანეთს: ჩვენს ხალხს სჭირია სამღვდელოება, მაგრამ არა საზოგადოებრივ საქმეების „თაოსნად", არამედ, ერთის მხრით, თავის **სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად** და, მეორეს მხრით, **ზნეობრივ სიფაქიზისა, ძმობა-სიყვარულისა და სამართლიანობის გუშაგ-მქადაგებლად**.

ასეთია ჩვენი ხალხის უდიდეს ნაწილის რწმენა-შეხედულება სამღვდელოების შესახებ. და სანამ ეს რწმენა ფაქტია და ფაქტად დარჩება, მას დროის შესაფერად პასუხისგება, ანგარიშის გაწევა სჭირია. მისი უყურადღებოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელი საქმეა. კულტურულ განვითარების იმ საფეხურზე, რომელზედაც დღეს ჩვენი ერის დიდი ნაწილი დგას და კიდევ კარგა ხანს იდგომება, აღნიშნული რწმენა—შეხედულება სრული ისტორიული აუცილებლობაა, რომელსაც ვერც ერთი შეგნებული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გვერდს ვერ აუვლის, თუ-კი სურს თავის მოღვაწეობის ბაზისად, საოპერაციო პუნქტად ხალხის ნამდვილი, დღეს არსებული სულისკვეთება—საჭიროებანი გაიხადოს, თვისი მოქმედება მტკიცე პრაქტიკულ ნიადაგზე დაამყაროს და არა ისეთს მდგომარეობაზე, რომლის საყოველთაოდ დამყარება შორეულ მომავალშიაც კი ძნელად მოსალოდნელია.

დასახელებულ აუცილებლობას, სხვათა შორის, ის გარემოებაც აძლიერებს, რომ თუმცა რუსეთის იმპერიაში სარწმუნოებრივი „თავისუფლების" შესახებ ბრძანებაც კი გამოვიდა, მაგრამ, როგორც ყველამ დავინახეთ, ეს თავისუფლება მეტად შეზღუდული აღმოჩნდა: მართლმადიდებელ ქრისტიანებს, რომელთაც ქართველ ქრისტიანეთა უმრავლესობა ეკუთვნის, ნება აქვთ მხოლოდ რომელსამე ქრისტიანობრივ აღსარებას შეუერთდნენ და არა იმ სარწმუნოებას, რომელსაც თვითონ მოისურვებენ და აირჩევენ. ამ აღსარებებს კი ყველას დაახლოვებით ისეთივე საეკლესიო ორგანიზაცია აქვს, როგორიც ჩვენს ეკლესიას, სამღვდელოება აქაც აუცილებელი კუთვნილებაა ეკლესიისა. ამიტომ, ჩვენმა ხალხმა აღსარებაც რომ გამოიცვალოს, ამითი ჩვენ-მიერ აღნიშნულ საქმეს არსებითად მაინც არა ეშველება რა: სამღვდელოების საკითხი მაინც საკითხავადვე დარჩება და ხალხისაგან დროის შესაფერ პასუხს მოითხოვს.

ამ რიგად, ერთის მხრით, განსაზღვრული სარწმუნოებრივი შეხედულობანი ჩვენის ხალხისა, მეორეს მხრით—უკვე ძალაში შესული საყოველთაო საიმპერიო კანონი სარწმუნოების „თავისუფლების" შესახებ,—ეს ორი უმთავრესი გარემოება ყოვლად შეუძლებლად ჰხდის სამღვდელოების შესახები საკითხი ისე მარტივად და რადიკალურად გადავჭრათ, როგორც ბ-ნ გომართელის ოპონენტი ბ-ნი ი. ნაკაშიძე ბრძანებს. სახელდობრ იგი ამბობს: „ქრისტეს მცნება მაშვალს არა ცნობს ადამიანისა და ღვთის შორის"... იგი პირდაპირ, უმაშვალოდ უღვიძებს თვითეულ ადამიანს სარწმუნოებრივ გრძნობას, რომელიც ჰუმანობა - კაცთმოყვარეობაში გამოიხატებაო". აქედან გამომდინარი დასკვნა ერთად-ერთია: სამღვდელოება, როგორც „მაშვალი" ღმერთსა და კაცთა შორის, საჭირო არ არის.

მაგრამ, როგორც ვსთქვით, ამ საკითხის ასე მარტივად გადაჭრა დღევანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელი საქმეა, თუ კი გვსურს ჩვენი გადაწყვეტილება თეორეტიულ-კაბინეტური არ იყოს, არამედ ხალხის ცხოვრებაში თვალსაჩინო პრაქტიკული ნაყოფი გამოიღოს. საამისოდ კი სრულიად საკმაო არ არის „საგნის ნათლად მხილველმა მწერალმა", როგორც ბ-ნი ნაკაშიძე ბრძანებს, თავის ნაწერში „საკუთარ მისწრაფებას პირად იდეალს" არ უმტყუნოს და მხოლოდ ის დაგვანახოს, თუ „**რა არის დღეს** მის თვალწინ და მის მაგივრად **რა უნდა იყოს**". ბ-ნ ნაკაშიძეს ჩვენზე ნაკლებ არ მოეხსენება, რომ უუმაღლეს სამართლიანობის და საერთო სარგებლობის თვალსაზრისით კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ადამიანთა შორის ადგილი **არ უნდა ჰქონდეს**; მის ადგილას სოციალისტური წარმოება **უნდა იყოს**. მიუხედავად ამისა, ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში არსებობს მთელი ჯგუფი იდეოლოგებისა, რომელნიც წარსულთან შედარებით, კაპიტალისტურ წყობილების დამყარებას, კარგი ხანია, პროგრესიულ მოვლენად სთვლიან, რომ მთელს ამ განმათავისუფლებელ მოძრაობას უახლოეს შედეგად **ბურჟუაზიულ**-დემოკრატიული მართვა-გამგეობის წესი მოჰყვება და არა მათი სათაყვანებელი წესი **სოციალისტურ**-დემოკრატიულ მართვა-გამგეობისა. ცხადია, ამ შემთხვევაში ვერ ახორციელებენ იმას, „**რაც უნდა იყოს**", არამედ დროებით სჯერდებიან მხოლოდ იმას, რაც დღევანდელ პირობებში „**შესაძლო იყოს**", ე. ი. რისი გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ რასაც აწმყოსა და წარსულთან შედარებით მაინც პროგრესიული მნიშვნელობა ექნება.

სწორედ ასევე იქცევიან ის იდეოლოგებიც, რომელნიც, ბ-ნ გომართელთან ერთად, დღევანდელ პირობებში შესაძლოდ ვერ სცნობენ ხალხს სამღვდელოების სრულიად უარყოფა და უკუგდება ურჩიონ, არამედ საჭიროდ თვლიან, **რამდენათაც-კი შესაძლოა**, ეს ისტორიულად შექმნილი საზოგადოებრივი ჯგუფი მის გამაუკუღმართებელ პირობათაგან გაანთავისუფლონ და ხალხისთვის მავნებელი მხარეები დაუკარგონ ან შეუსუსტონ. ხოლო რა გზით უნდა მოხერხდეს ამ მიზნის მიღწევა, ამა დეგს თავში განვიხილავთ.

ვალს

(შემდეგი იქნება)

ხალხი მეტად, ფრთხილად იქცევა... ამათ მაგარი ხელი ეხმარებათ.

შეიკრიბნენ და ბაასობდნენ — დღეს ცარიელი მოედანია, იქ მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი და ჯარის კაცნი დგანან.

დღეს პეტერბურგმა ახალი არა მოგვცარა.

მალაქია ბოლქვაძე.

თეატრი და მუსიკა

ქართული წარმოდგენა („მამა", დრამა 3 მოქმედებად სტრინბერგისა. 13 ოქტომბერი*). სტრინბერგის ახალმა დრამამ „მამა"-მ, რომელმაც ერთ წელიწადში მოიარა ევროპისა და რუსეთის სცენები, წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია. უმრავლესობა არ დაეთანხმა პიესის მთავარ აზრს. ბევრმა კიდევ პიესაში გამოყვანილი მომქმედი პირები სულით ავადმყოფებად და არა ნორმალურ ადამიანებად ჩასთვალა.

პიესაში აწერილია ცოლ-ქმრული ურთიერთობა. დიდი ხანი არ არის, რაც ევროპის მწერლობა საზოგადოდ და დრამატურგია კერძოდ ამ დიდად საყურადღებო და ეხლანდელ დროსათვის საჭირ-ბოროტო საგანს შეეხო. ყველაზე მეტი ყურადღება ცოლ-ქმრულ ურთი-ერთობის საქმეს საფრანგეთისა და სკანდინავიის მწერლებმა მიაქციეს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ საფრანგეთი შეუღლებისა და განქორწინების კანონების მხრივ შესამჩნევად ჩამორჩა ევროპისა და ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებს. ადგილობრივმა მწერლებმა უმთავრესი ყურადღება ცოლ-ქმრულ ურთიერთობის სწორედ ამ მხარეს მიაქციეს. ისინი იბრძვიან აწ მოქმედ კანონების წინააღმდეგ და თხოულობენ ამ კანონების შეცვლას.

უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეხედეს საქმეს სკანდინავიის მწერლებმა და მათში განსაკუთრებით იბსენმა. ამათ დედაკაცის პიროვნების სრული განთავისუფლება მოითხოვეს. იბსენი პირდაპირ ამბობს, რომ არა მოვალეობა დედაკაცისათვის ისე დიდი და პასუხ-საგები არ არის, როგორც მოვალეობა თავის პიროვნების განთავისუფლებისა და ამაღლებისაო. იბსენის აზრით, დედაკაცს სრული უფლება აქვს ამ საქმეს შეწიროს ქმრისა და შვილების კეთილდღეობაც კი.

საზოგადოდ-კი, ერთისა და მეორე ჯგუფის მწერალნიც სცნობენ, რომ დედაკაცი დაჩაგრულ და დამონებულ მდგომარეობაშია, რომ იგი მთელის საუკუნოების განმავლობაში მამაკაცის ბრძანებისა და სურვილის აღმასრულებელი იყო და რომ დადგა დრო მამაკაცისა და დედაკაცის უფლებათა გათანასწორებისა.

ამავე აზრისანი არიან, რასაკვირველია, მთლად ევროპისა და ამერიკის მოწინავე საზოგადოება და დემოკრატიული პარტიები.

სულ სხვა თვალით უყურებს საქმეს ზემოხსენებულ პიესის ავტორი. იგი სრულიადაც არა სცნობს ქალს „სუსტ" და დაჩაგრულ ადამიანად. პირიქით, იმის აზრით, დედაკაცი იმდენად ძლიერი არსებაა და იმდენი საშუალება აქვს ხელთ, რომ ყოველთვის შეუძლიან კაცის დამონება და თავის ფეხის ხმაზე აყოლება. უმთავრესი წყარო ამ ძალისა და მბრძანებლობისა დედაკაცის ხელში, სტრინბერგის აზრით, ის საიდუმლოებაა, რომ „მამაკაცს არას გზის არ შეუძლიან იცოდეს, ის არის თუ არა ნამდვილი მამა თავის შვილისა". ეს, ავტორის სიტყვით, ისეთი საიდუმლოებაა, რომ მამაკაცი ვერაფრით, ვერა საშუალებით ვერ ახდის ფარდას და ჭეშმარიტებას ვერ გაიგებს. მაშასადამე, თუ მამაკაცი თავის თავს მამად ვერა სცნობს, იგი ვერც ოჯახის პატრონი და ბატონი იქნება. ამ რიგად, დედაკაცს რჩება სავსებით ბურთი და მოედანი. აი, ეს არის უმთავრესი არგუმენტი ავტორის ხელში იმის დასამტკიცებლად, რომ დედაკაცი სუსტი კი არა, ძლიერი არსებაა. ამაზეა მთელი პიესა აგებული. რა თქმა უნდა, ამ აზრს ვერ შევიწყნარებთ და ვერ დავეთანხმებით. ავტორს ავიწყდება ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ მამაკაცის ხელში თანამედროვე წეს-წყობილების მოხებით უფრო ბევრი და უფრო ძლიერი საშუალებებია დედაკაცის დამონებისა და დაჩაგვრისა.

მოკლედ შინაარსი პიესისა შემდეგია. ცოლ-ქმარს ახალგაზრდა ქალი ჰყავს. განათლებულ, მეცნიერ ქმარს უნდა ერთადერთი ქალი თავის იდეალების თანახმად აზარდოს, მაგრამ ამას ცოლი ეღობება წინ. ეს უკანასკნელი თავისებურად სცდილობს ქალის აღზრდას. ცოლს მხარს უჭერენ სიდედრი, ძმა და სხვა შინაურები. ბოლოს ცოლი ქმარს იმასაც ეუბნება: შენ ხომ არ იცი, ქალი შენ გეკუთვნის თუ არა, ხომ შეიძლება იგი სხვისა იყოსო. ეს სიტყვები მეხივით ეცემა ქმარს. დღე-ღამე ამაზე ფიქრობს. ბოლოს ცოლი მოხერხებით სულით ავადმყოფად აცხადებს ქმარს და გიჟის ხალათს აცმევს. კაცს ამ დროს წვეთი ეცემა და კვდება.

დედააზრის სიყალბის გარდა, პიესას სხვაც ბევრი ნაკლულევანება აქვს, მაგრამ უადგილობის გამო ამის აღნიშვნას აღარ შევუდგებით.

წარმოდგენა სუსტი იყო. არ ეტყობოდა თამაშობას ანსამბლი, როლების მტკიცედ ცოდნა, ბეჯითი მომზადება. ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა, და ქ-ნ ივანიძის გარდა, ყველანი სუსტობდნენ. ყველაზე უფრო სუსტი იყო ქ-ნი კარგარეთელი, რომელსაც დაკვირვება არ ეტყობოდა და როლი ხომ სულ არ იცოდა. ერთხელ რუსულიც-კი ჩაურთო, რამაც, ტრაგიკულ ადგილას, სიცილი გამოიწვია.

ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ქართულ წარმოდგენებზე ყოველთვის ძველი და ცუდი დეკარაციებია, თუმცა სახაზინო თეატრი დეკარაციების მხრივ ძალიან მდიდარია. ნუ თუ თეატრის ადმინისტრაცია არ იძლევა ახალ დეკორაციებს? დრამატიული საზოგადოება ყოველ წარმოდგენაში იმდენ ფულს იხდის, რომ სრული უფლება აქვს რიგიანი დეკორაციები მოითხოვოს.

დეპეშა

ქუთაისი. გავრცელებული ხმა, რომ ვითომ გურიაში მიღებულია რეპრესიული ზომები, მართალი არ არის. არავითარი სასტიკი ზომები გურიაში ადმინისტრაციას არ მიუღია გურულების წინააღმდეგ. ამისთანა ხმების გავრცელება უთუოდ გამოიწვია შეტაკებამ, რომელიც მოხდა მცხოვრებლებსა და პლასტუნთა შორის და რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე კაცი ორივე მხრივ; აგრეთვე ტელეგრაფის უმოქმედებამ, რომ დროზე გამოძიება არ დაბრკოლებულიყო. ხალხის დასამშვიდებლად გურიაში გაემგზავრა გუბერნატორი სტაროსელსკი.

გუბერნიის მმართველი ალ. ყიფშიძე.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 27 ოქტომბერი. რაც ხანი ქუთაისის გუბერნიაში გაფიცვა იყო, არსად უწესოება არ მომხდარა. გუბერნატორის მიერ ნება დართულ მიტინგებს ქუთაისში ხალხი ათასობით ესწრებოდა. წეს-რიგი ერთის წუთითაც არ დარღვეულა. როგორც გუშინ გატყობინებდით, ქალაქის თეატრში წაკითხულ იქმნა რეფერატი — „საჭიროა თუ არა კაპიტალიზმი სოციალიზმის განხორციელებისთვის". კამათს, რომელმაც მთელი სამი საღამო გასტანა, ხალხი საოცარის გულდასმით ისმენდა.

სასწავლებლებში სწავლა განახლდა.

პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. კატორგაში გასაგზავნ ტუსაღებს ერთი კვირის წინად ბორკილები აჰყარეს. გუშინ ხელ-ახლა გაუკეთეს, მაგრამ ამას არავითარი ინციდენტი არ გამოუწვევია.

ცუდად იმოქმედა ყველაზე, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ქუთაისის გუბერნიაში ხელ-ახლა საომარ დროის წესების შემოღების გამოცხადებამ. ნამესტნიკს რამდენიმე შუამდგომლობა გაეგზავნა. სთხოვენ არ შემოიღოს საომარ დროის წესები.

გურიიდან შფოთიანი ამბები მოდის. მაზრის უფროსს და ყაზახებს შეტაკება მოუხდათ მცხოვრებლებთან. დაწვრილებითი ცნობები არ არის ფიქრობენ, რომ ბევრი ყაზახია მოკლული. მაზრის უფროსი და მომრიგებელი მოსამართლე ცოცხალნი არიან. ხვალ გურიაში მიდის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი.

ეს არის ეხლა მოვიდა ტფილისიდან ცნობა 22 ოქტომბერს მომხდარ ამბის შესახებ. მოსწავლენი ამ ამბებისა და ტფილისში მოსწავლეთა ამოჟლეტის გამო ხელ-ახლა გაიფიცნენ.

ქუთაისი. გატყობინებთ დაწვრილებით ამბებს ჩოხატაურის საქმის შესახებ:

16 ოქტომბერს სამასი გურული დაეცა ჩოხატაურის პოსტს. მოჰკლეს ერთი, დასჭრეს ორი სტრაჟნიკი. წაიღეს ათი ბერდანის თოფი.

17 ოქტომბერს გურულებმა ტყვედ წაიყვანეს ბოქაული გაჯუა და სტრაჟნიკები. ამასთან წაართვეს ბერდანის თოფები და პატრონები.

18 ოქტომბერს ჩოხატაურში ყაზახებით ჩავიდა მაზრის უფროსი.

19 ოქტომბერს, უკან დაბრუნებისას, ნასაკირალში მაზრის უფროსს მცხოვრებნი ჩაესაფრნენ. ასტყდა სროლა თოფებისა და ყუმბარებისა. რამდენიმე ყაზახი დაიჭრა. ექვსი ყაზახი გურულებმა ტყვედ წაიყვანეს.

20 ოქტომბერს მაზრის უფროსი და მომრიგებელი მოსამართლე ყაზახებით და დაჭრილებით უკან, ოზურგეთში, დაბრუნდა, გზა და გზა ეს რაზმი სწვავდა მცხოვრებთა სახლებს. გურულებმა ტყვეობიდან გაანთავისუფლეს ბოქაული და სტრაჟნიკები.

ქუთაისი, 27 ოქტომბერი. გუშინ 26 ოქტომბერს, სადგურ მუხიანში ვიღაც უცნობი კაცები თავს დაეცნენ ვაგონებს და ძარცვა დაიწყეს. გაძარცვეს ერთი ვაგონი, დანარჩენს პლომბები აჰყარეს.

ტფილისის ამბების გამო ხვალ, 28 ოქტომბერს, ქუთაისში გაფიცვას მოელიან. პანაშვიდებია.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 ოქტომბერი.

პეტერბურგი. რესკრიპტით დათხოვნილია: პეტერბურგის სამხედრო ოლქის გვარდიის ჯარის უფროსობისაგან დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე; სახელმწიფო კონტროლიორი ლობკო; გზათა მინისტრი ხილკოვი და მიწათ-მოქმედებისა და წარმოების მინისტრი შვანებახი. გამოქვეყნებულია ბრძანება ვაჭრო-სამრეწველო სამინისტროს დაარსებისა, რომელშიაც შედის საზღვაო ვაჭრობისა და ნავთსადგურთა სამმართველოც.

შინაგან საქმეთა დროებითი მმართველი დურნოვო დარჩება ახალ მინისტრის ამხანაგად და განაგებს პოლიციის ნაწილის საქმეებს.

„ნოვოე ვრემია" იუწყება, რომ ლამზდორფი სტოვებს თავის თანამდებობას და მის მოადგილედ ინიშნება იზვოლსკი.

„ნოვოსტი" გვატყობინებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელს მიიღებს მოსკოვის გუბერნიის საერობო გამგეობის თავმჯდომარე გოლოშინი.

დონის-როსტოვი, 26 ოქტომბერი. ქალაქის სამმართველო 17 ოქტომბრის სახსოვრად წინადადებას იძლევა აპატიოს ღარიბ ხალხს 50.000 მანეთი დარჩენილი გადასახადი და გაიხსნას ხუთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. თავდასხმა-აკლებით დაზარალებულთათვის ქალაქის სამმართველო სწირავს 10.000 მანეთს და აარსებს საქველმოქმედო კომიტეტს.

ვარშავა, 26 ოქტომბერს. ლაქიების გაფიცვის გამო დაიკეტა რესტორანები და საკონდიტროები. ღიაა მხოლოდ ის სასტუმროები, სადაც სტუმრები თვითონ ემსახურებიან თავიანთ თავს. ვარშავის თეატრების პერსონალმა დაადგინა გაფიცვის განგრძობა იმ დრომდე, ვიდრე არ შესდგება მთავრობის მიერ ნება დართული საჯარო ყრილობა.

სურაჟი, 26 ოქტომბერი. ქალაქისა და სოფლად მცხოვრებ ებრაელთა აკლებას მთელ მაზრაში აგრარული მოძრაობაც მოჰყვა ბევრ ადგილას. ჯარი არ არის და პოლიციას არ ძალუძს მშვიდობიანობის აღდგენა.

ქუთაისი, 26 ოქტომბერი. ხმები რკინის გზის ხიდების აფეთქების შესახებ ტყუილია, თუმცა კი გზა ბევრგანაა გაფუჭებული. ეს ხმები გამოიწვია იმან, რომ ტელეგრაფის მოქმედება შეწყვეტილია ყოველ მხარეს. ის ხმები კი სარწმუნოა, რომ გურიაში ოთხმოცზე მეტი პლასტუნი და სტრაჟნიკი ყუმბარებით დახოცეს.

ლონდონი, 26 ოქტომბერი. ებრაელები ინგლისში დიდად აღელვებულნი არიან რუსეთის ებრაელების დაწიოკების გამო. გავლენიანი ებრაელები სცდილობენ მაიმხრონ მთავრობა და გამართონ ხელის მოწერა შეწირულებისათვის. დაზარალებულთათვის შეწევნის მოწოდებაზე ხელს აწერენ როტშილდი, სამუელი, მონტეგიუ და სხვები. მოგროვებული ფული უნდა განაწილდეს რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით და ამასთან დაწესებული იქნება შესაფერი კონტროლი, რომ ფული დაურიგდეს ნამდვილ დაზარალებულთ და არ მოხმარდეს პოლიტიკურ მიზანს.

ლონდონი, 26 ოქტომბერი. კვინსგალში მოხდა დღეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ კავშირის დიდი მიტინგი რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

25 ოქტომბერი.

ბათუმი, 26 ოქტომბერი. დახურულია ყველა სასწავლებლები, ბანკები, კანტორები, მაღაზიები. გემები მოდიან და ისევ ბრუნდებიან დაუტვირთავ-გადმოუტვირთველი. ზოგიერთები რეიდზე დგანან. გ.-გუბერნატორს თათბირი ჰქონდა ამის შესახებ ვაჭრებთან. მოვიდა სამხედრო გემი „დონეც"-ი.

ნიუ-იორკი. კორკასიდან ხმები მოდის, საფრანგეთის რწმუნებულმა ვენეცუელა დასტოვაო.

ადესა, 26 ოქტომბერი. მცხოვრებლები ნელნელა წყნარდებიან. ნავთსადგურში საქონელი მოაქვთ. ქალაქის საბჭო სთხოვს მცხოვრებთ დაწყნარდნენ და შეუდგნენ შრომას. გამგეობამ სთხოვა ჯარების უფროსს, დაუყენოს დამცველი რაზმები იმ უბნებში, სადაც მცხოვრებლები დაჟლიტეს და დააწიოკეს. აკადემიურ კავშირის განყოფილება მასალას კრებს არეულობაზე.

პეტერბურგი. ხმებია, რომ სახელმწიფო საბჭოს გარდაქმნიან: საბჭოში პროექტისამებრ შევლენ წევრები, რომელთა ერთი ნაწილი არჩეული იქნება, მეორე-კი დანიშნული. განზრახულია, საბჭოს წევრების არჩევნება მიანდონ საერობო საგუბერნიო კრებას. პროექტით, უმაღლესად წარადგენენ მხოლოდ უმეტესობის აზრს, თუ ეს უმეტესობა შეადგენს დამსწრეთა ორ მესამედს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივე აზრი უნდა წარადგინონ.

მარიენგამი. გაფიცვა შესწყდა. წესრიგს იცავენ მოქალაქენი, პოლიციის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ. ქალაქში მიტინგები იმართება.

ლონდონი. გაიმართა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც დაადგინეს, მიულოცონ რუსეთის ხალხს ბრძოლით აღებული თავისუფლება. ტელეგრაფით იქნა გაგზავნილი 20 ათასი გირ. სტერლინგი დაწიოკებულ ებრაელების სასარგებლოდ.

ჰელსინგფორსი, 26 ოქტომბერი. გაფიცვა ისპობა. ნაციონალურ გვარდიისა და მუშების დელეგატებმა სენატს 160 ათასი მარკა მოსთხოვეს გაფიცვის დროს ყარაულობის გასწევისათვის. ხსენებული ჯამი მიეცემათ ფინლიანდიის სახაზინო ჯამიდან.

რიგა. გაიხსნა პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

ხარკოვი. სვიატოპოლკ-მირსკი პეტერბურგს წავიდა.

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. საბჭომ პატივი სცა ყოფილ ქალაქის თავს გოლიცინს. ხმოსნების ჯგუფმა წინადადება შეიტანა, გოლიცინი მოსკოვის საპატიო მოქალაქედ არჩიონ. ახალ თავის ადგილზე ასახელებენ გუჩკოვს. პეტერბურგს წავიდნენ უმაღლესის სასწავლებლების დელეგატები უნივერსიტეტის გახსნის საკითხის გადასაწყვეტად.

პეტერბურგი, 26 ოქტომბერი. საზღვაო უწყებას ებრძანა, აღარ მისცენ საზღვაო უწყების პირთ ომიანობის დროის ზედმეტი ჯამაგირი.

ქუთაისი, 26 ოქტომბერი. ახალი ცნობებით ოზურგეთის მაზრიდან, მაზრის უფროსი ლაზარენკო და მომრიგებელი მოსამართლე პეკარსკი კი არ მოუკლავთ, არამედ ტყვედ წაუყვანიათ.

ვენა. „აბენდპოსტ"-ი და „ნეიე-ფრეიე პრესსე" მსჯელობენ ებრაელების ჟლეტა-ხოცვაზე რუსეთში და ამბობენ, რომ ეს დაწიოკება და ჟლეტა მხოლოდ ფარდაა, რომლითაც ჩამოფარებულია კონტრ-რევოლიუცია მანიფესტის გამოქვეყნების წინააღმდეგ. ყველაფერი ეს იმიტომ მოაწყო ბნელმა ძალებმა, რომ მიწა გაუთხარონ განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთში, რომლის განსახორციელებლად უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი. ებრაელების ჟლეტის მიზანია, დავთარი აურიონ ლიბერალურ ინტელიგენციას და სახელი გაუტეხონ დაწყებულ რეფორმებს. საშიშროა რკინის ხელის ჩარევა საქმეში. კონტრ-რევოლიუცია არ ჩაქრება, თუ იგი არ აიღაგმა თავის დროზე.

პეტერბურგი. 26 ოქტომბერი. გენერალ ტრეპოვს ჩამოერთვა გენერალ-გუბერნატორის წოდება, პეტერბურგის გარნიზონის უფროსობა, გადაყენებულ იქმნა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისა და პოლიციის [illegible] და ჟანდარმთა კორპუსის უფროსობის ადგილიდან, ინიშნება სასახლის კომენდანტად და რჩება მის უდიდებულესობის ამალაში. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ინიშნება გვარდიის ჯარებისა და პეტერბურგის სამხედრო ოლქის მთავარ სარდლად და რჩება სახელმწიფო დაცვის საბჭოს თავმჯდომარედ.

ოფიციალურად გამოცხადდა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაარსება და ებრძანა უმართებულეს სენატს მიიღოს საჭირო ზომები ამ განკარგულების განსახორციელებლად.

ბაქო, 27 ოქტომბერი. ქალაქს სამხედრო შეხედულება აქვს. რუსები თხოულობენ ხომხების იარაღების ახსნასა და გაძევებას. პოლიციის მოხსენებით, ყოველ ცეცხლ მოდებულ სახლში 20-დან 50-მდე ყუმბარა სკდებოდა.

კრონშტადტი, 27 ოქტომბერი. გუშინ საღამოს 6 საათზე დაიწყო სერიოზული არეულობა. დღეს აიკლეს საზღვაო საკრებულო, ცეცხლი მოუკიდეს და გაძარცვეს სასმელების დუქანი. მეამბოხეთა ბრბო, რომელშიაც მატროსებიც ურევია, მცხოვრებლებს თავზარსა სცემს. არეულობის მოსასპობად საზღვაო ეკიპაჟების სამღვდელოებამ გამართა ლიტანია. ორანიენბაუმიდან გაიგზავნა ირკუტსკის პოლკის ორი ბატალიონი. პეტერბურგსა და ორანიენბაუმს მიმავალი გემები ხალხით სავსეა. ორ ადგილას იწვის სახლები, რომელსაც ბრბომ ცეცხლი წაუკიდა.

მოსკოვი, 27 ოქტომბერი. საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრებაზე, რომელიც უნდა გაიხსნას მოსკოვში 6 ნოემბერს, განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1. ამომრჩევლობითი კანონი. 2. დროებით კანონის პროექტი, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს პიროვნების, სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრებებისა და კავშირის თავისუფლება, 3. საერობო და სამოქალაქო მოღვაწეთა კრების დამოკიდებულება მიმდინარე ამბებთან.

იუზოვკა, 26 ოქტომბერი. ბახმუტის მაზრის შჩერბინოვკაში დაიწყო თავდასხმა და აკლება, მაგრამ მაღნების მუშები წინააღმდეგობას უწევენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

---

*) საყოველთაო გაფიცვის გამო ეს რეცენზია თავის დროზე ვერ დაიბეჭდა,

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარით გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორსი ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ახლად კურს დამთავრებული

ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს

ჭრა-კერვა

სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ. ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. კანდიაძის სახ.

მ. ყიფიანისა. (15—389—13)

მასწავლებელთა საყურადღებოდ

დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი

არითმეტიკული კრებული

პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით). ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა." (10—414—3)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

წელიწადი მეორე საყმაწვილო ჟურნალი **წელიწადი მეორე**

„ნაკადული"

სურათებით

მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

გამოვა თვეში ორჯელ სამ წიგნად ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი.

წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

ხელის მოწერა შეიძლება: რედაქციაში და „წ. კ. გ. საზოგადოების" კანცელარიაში. და მ. ი. დემურიას სახლში ალექს. № 5. ქალაქ გარეთ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ქვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში**: „კოლხიდის" საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სუხუმში**: კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ხვთისავარაშვილთან; **გორში**: თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში**: იაკობ ფანცხავასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის-ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში**: ირაკლი დეკანოზოვთან; **საჩხერეში**: ყარამან ჩხეიძესთან, ერევანში მარიამ ფლენიშვილთან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქნება ჩათვლილი.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція НАКАДУЛИ.

რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

რედაქციაში პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-დან 1 საათამდის. (5—უ.—3)

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ."-სა. ვანქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.